სარბიელი

სპორტული გაზეთი ხუთშაბათი 24 იანვარი 2008 №014 (3238) ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა



ხიზანა 2011

ზურაბ ხიზანიშვილის სამწლიანი ვარდები

ზურაბ ხიზანიშვილმა 2011 წლის ზაფხულამდე გააგრძელა „ბლექბერნთან" კონტრაქტი, რომელიც ხუთ თვეში ეწურებოდა. ის სულაც არაა „ვარდების" შეუცვლელი ფეხბურთელი, მეტიც, ამ სეზონში თითებზე ჩამოსათვლელი მატჩი ჩაატარა, მაგრამ „ხიზანამ" და კლუბმა ასე არჩიეს.

ქართველი მცველი 2005 წელს მივიდა „ივუდ პარკზე" და ღონიერი მატჩებიც ბლომად ჩაატარა, მაგრამ ბოლო დროს ჯერ ტრავმებმა, მერე კი სხვა მცველთა კარგად ათამაშებამ ჩვენიანი სათადარიგოდ აქცია.

მწვრთნელ ჰიუზს ხიზანიშვილის შექება არ ეზარება, ბევრჯერაც ულაპარაკია აღმატებულად და ახლა სიტყვას თუ საქმედ აქცევს და „ხიზანას" სასტარტოში დააბრუნებს, საქართველოს ნაკრებისთვისაც კარგი იქნება — „ხიზანა" აუცილებლად უნდა დაბრუნდეს ეროვნულ გუნდში.

ილია ნანობაჯვილი

ასე გასრულდა ოლიმპის ზღაპარი

ლხინი ბელარუსმა წაიღო

საქართველოს ჩემპიონმა მეგობრობა დაამთავრა



ანა ივანოვიჩი

ჰენტაგონი შეძლურია

სერბებმა ამერიკა ავსტრალიაში დაბომბეს

დღეს და ხვალ რა იქნება, ძნელი სათქმელია, მაგრამ წლევანდელი ავსტრალიის ღია პირველობა ნახევარფინალებამდე სერბული ნიშნით რომ მივიდა, ამას წყალი არ გაუვა. ანა ივანოვიჩი, ელენა იანკოვიჩი, ნოვაკ ჯოკოვიჩი — ესენი სამივენი ნახევარფინალში არიან და იანკო ტიპსარევიჩსაც ნუ დავივიწყებთ, რომელმაც კინალამ როჯერ ფედერერი გაუშვა სახლში.

ახლა ფედერერს ჯოკოვიჩი ხვდება, ხოლო ანა-ელენასი კი ის უნდა ვთქვათ, რომ ამ სერბმა დიაცებმა მელბურნიდან ამერიკელი შავდები, ვინუს და სერენა უილიამსები დაიფრინეს და ამ დაფრენისას იქნებ ისიც გაიხსენეს, თუ როგორ ფრენა-ფრენით ბომბავდნენ ამერიკული თვითმფრინავები მათ მშობლიურ ბელგრადს-

წამნახევარი და გამქრალი იმედი

სტუდენტებმა არასპორტულით მოიგეს



მიხეილ ფანჩულიძემ რუსთაველებს გამარჯვება ბოლო წამზე წააართვა

ბურაგი დულუნგარაშვილის ფოტო

ქორქია-საკანდელიძის მემორიალის ფინალის წამგები „ენერჯი-ინვესტი" თასის გარეშეც დარჩა. თსუმ გუშინ სენსაცია მოახდინა, რუსთაველთა საამაყო გუნდი დაამარცხა და დღეს ფინალში „ავიამშენს" შეხვდება.

მოგებაცაა და მოგებაც — სტუდენტებმა ლამის შეუძლებელი შეძლეს. საფინალო სირენამდე 6 წამით ადრე 3 ქულას აგებდნენ, მაგრამ რუსთაველთა სერბ იოვან სტეფანოვს დასრულებამდე წამნახევრით ადრე არასპორტული ჯარიმა გამოსტყუეს, ორ ქულად აქციეს და ზედ სირენასთან ერთად გამარჯვების ბურთიც ჩააგდეს.

თანამეგობრობის თასი

მიხეილ მახვილაძის (მარჯვნივ) „ოლიმპი ბატეს ვერ გასცდა

პისკოვეცმა დაცვას ვერ მიხედა

ბატემ ოლიმპი ავრორას დააკმაყოფილა

მეოთხედფინალი

ოლიმპი 1:2 ბატე

0:1 ბლიზნიუკი (43), 1:1 ხუბუა (72), 1:2 როდიონოვი (85)

სივაკოვმა ვერ გაიტანა პენალტი (90)

ოლიმპი: მერლანი, მახვილაძე, ჯოჯუა, კოვალევსკი, სტეფანიშვილი, კახელიშვილი, ხუბუა (ვ. კვარაცხელია 75), პატულა, ომელიანოვი, გეწაძე (მეტრეველი 65), სებისკვერაძე

მწვრთნელი: ანატოლი პისკოვეცი

ბატე: პანკრატოვი, კაზანცევი, რუევსკი, სოსნოვსკი, სახაროვი, პ. პლატონოვი (სივაკოვი 79), ფავნერჩიკი (ლიხტაროვიჩი 74), ერმაკოვიჩი (ზაიცევი 55), დ. პლატონოვი (რადეიჩი 64), ბლიზნიუკი (სკავიში 76), რებროვი (როდიონოვი 49)

გაფრთხილება: დ. პლატონოვი, ჯოჯუა

მსაჯი: ვ. ცეიტლინი (უზბეკეთი)

ფახთაძორი 1:1 (7:6პ) ვინტსპილსი

0:1 რიმკუსი (41), 1:1 ინომოვი (80)

ხაზარი 2:2 (5:3პ) შერიფი

0:1 განუ (35), 1:1 სოუზა (53), 1:2 ბალიმა (64), 2:2 სოუზა (90)

შერიფელმა ვაჟა თარხნიშვილმა სრულად ითამაშა, პავლე ხორგუაშვილი კი შეცვლაზე შევიდა

ზენიტი 1:2 კაუნასი

0:1 ლედესმა (14), 0:2 იარშოვასი (35), 1:2 იურჩენკო (43)

კაუნასელებმა ნუცრი მანჩაველმ და გიორგი კვარაცხელიამ სრულად ითამაშეს, აკაკი ხუციშვილი თადარიგში დარჩა

ნახევარფინალი. ხვალ

ხაზარი — ბატე

კაუნასი — ფახთაძორი

ჯგუფურ ეტაპზე ყველაზე შთამბეჭდავად მოთამაშე რუსთავის „ოლიმპმა“ მეოთხედფინალში დაასრულა. სანკტ პეტერბურგში მიმდინარე თანამეგობრობის თასის გათამაშება.

ბელარუსულ ბატე-სთან მატჩში რუსთაველებს თითქმის მთელი დაცვითი ხაზი აკლდათ და ანატოლი პისკოვეცსაც გუნდის გადაწყობა მოუხდა. ამან გარკვეული გავლენა იქონია თამაშზე და მთელი შეხვედრა ბელარუსელთა უპირატესობით მიმდინარეობდა. რომ არა მეკარე მირზა მერლანის კარგი თამაში, ანგარიშში სხვაობა გაცილებით დიდი იქნებოდა. ამიტომაც იყო, მერლანი ბელარუს სერგეი სოსნოვსკისთან ერთად მატჩის საუკეთესო მოთამაშედ რომ აღიარეს.

კიდევ ერთი მოუშორებელი ქართული სენი — ტაიმის ბოლოს გაშვებული გოლი. ჯერ 43-ე წუთზე გენადი ბლიზნიუკმა გაუტანა მერლანს, მატჩის დასრულებამდე 5 წუთით ადრე კი — ვიტალი როდიონოვმა. ამათ შორის გელა ხუბუამ თანაგუნდელთა შეტევა გოლით კი დაასრულა, მაგრამ...

ბატელებს გატანა ბოლო წუთზეც შეეძლოთ, მაგრამ მირზა მერლანმა იყოჩაღა და სივაკოვს პენალტი აუღო.

ვიქტორ განჩარენკო, ბატე-ს მთავარი მწვრთნელი: „ვფიქრობ, დამსახურებულად გავიმარჯვეთ. ერთადერთი, რაც მაწუხებს, პენალტთან დაკავშირებული სიტუაციაა — უკვე მესამე თერთმეტმეტრიანი გავაცუდეთ. ეს კატასტროფაა. მთლიანობაში ტურნირზე საუკეთესო მატჩი ჩავატარეთ. უამრავი მომენტი შევქმენით, რომელთაგან მხოლოდ ორი გამოვიყენეთ. გაშვებული გოლის შემდეგაც პანიკაში არ ჩავვარდნილვართ, ვგრძნობდით, რომ კიდევ გავიტანდით. თანდათანობით თამაშის ხარისხს ვაუმჯობესებთ. ტურნირის მოგებაზე არ ვფიქრობთ, ჯერ ნახევარფინალია სათამაშო“.

ანატოლი პისკოვეცი, „ოლიმპის“ მთავარი მწვრთნელი: „ძალიან ემოციური ვარ და ეს გასაკვირიც არ უნდა იყოს. არასდროს ვაფასებ მსაჯების მუშაობას, მაგრამ ამ მხრივ დღეს ძალიან მძიმე დღე იყო...

„ვინტსპილსთან“ მატჩისას სამი მცველი დავკარგეთ და ეს გუნდს დაეტყო. ვეცადეთ, შეტევაში წავსულიყავით, თუმც... რაც შეეხებათ მსაჯებს, ჯერ გავიგე, რატომ იქცევიან ასე ისინი ტურნირზე, სადაც არც საპრიზო ფონდია და არც პრემია... არბიტრი პროვოკაციებს არ გაურბოდა და მიმაჩნია, რომ თუ გავჩუმდები, საკუთარ თავს არ ვცემ პატივს...

...მთლიანობაში ორგანიზატორების მადლობელი ვარ, რომ ასეთი ტურნირი ჩაატარეს. აქ ძალიან კარგი ატმოსფერო იყო. ჩემს ფეხბურთელებს ძალიან მოეწონათ სანკტ პეტერბურგი — ბიჭების ოცნება კრეისერ „ავრორას“ ნახვა იყო და აისრულეს კიდეც“.

მიხეილ ჟორჟოლიანი

ქართველთა რუსული სია

საქართველოს ეროვნული გუნდი 6 თებერვალს ლატვიის ნაკრებთან ამხანაგურ მატჩს გამართავს. ნაკრების თავკაცებს ჯერ გუნდის შემადგენლობა არ გამოუცხადებიათ, თუმც ქართველ ლეგიონერთა რუსული კლუბები უკვე ავრცელებენ ინფორმაციებს, თუ ვინ არის გამოძახებული ლატვიელებთან მატჩისთვის: ლოკომოტიველი მალხაზ ასათიანი, კრილიელი დავით მუჯირი და რუბინელები — ლაშა სალუქვაძე და ნუკრი რევიშვილი.

მიხეილ ჟორჟოლიანი

სურდოიანმა იაშვილმა ლეგია გამოტოვა

ესპანურ მარბელაში შეკრებაზე მყოფმა შვეიცარიულმა „თუნმა“ გუშინ პოლონურ „ლეგიასთან“ ითამაშა (0:0), თუმც სანდრო იაშვილი მინდორზე არ შესულა — ქართველი თავდამსხმელი შეუძლოდ ყოფილა, სურდო აქვს და ვერც ვარჯიშობს.

„იაშკას“ გარდა, კიდევ ორ თუნელს ჰქონია სურდო. მოკლედ, ვერ ჩავიდნენ შვეიცარიელები თბილ მარბელაში კარგ ფეხზე.

უჩვეულო ფრაიბურგული ამბავი

გერმანულმა „ფრაიბურგმა“ მორიგი საკონტროლო მატჩი გამართა და შვეიცარიული „შაფჰაუზენი“ 3:1 დაამარცხა.

ფრაიბურგელთა შემადგენლობაში ითამაშა ოთარ ხიზანეიშვილმა და გოლითაც გამოირჩა — ქართველმა მცველმა, ვინც „ფრაიში“ სეზონის ბოლომდე დარჩება, მატჩის დასრულებამდე სამი წუთით ადრე ზუსტად შეასრულა პენალტი და თავისიანები დააწინაურა (2:1), რასაც „ფრაიმ“ ერთ წუთში კიდევ ერთი გოლი მიამატა.

ხმები ლევანს!

ყენია მსოფლიოს ტალანტთა რჩეულებში ლიდერობს



მსოფლიოს ფეხბურთის ფანების ვებგვერდზე პლანეტის საუკეთესო ტალანტების სიაა, რომელშიც 20 ჭაბუკია ჩამოთვლილი და მათ ხმებს აძლევენ.

სასიამოვნოა, რომ მათ შორისაა ლევან ყენია — ჩვენიანმა სულ მოკლე პერიოდში მთელ ევროპას და, როგორც ჩანს, მსოფლიოს გააცნო თავი. შარშან ამ დროს ყენიას მხოლოდ საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრებში ჰქონდა ნათამაშები, ახლა კი ეროვნული გუნდის ერთ-ერთი გამორჩეული სახეა.

ვინ არის საუკეთესო ვუნდერკინდი?

გამოკითხვა ახალი დაწყებულია და გერმანული „შალკეს“ ქართველი ახალწვეული ლევან ყენია 7 ხმით (24,14 პროცენტი) ლიდერობს.

მეორე ადგილზეა ბერძნული „პანათინაიკოსის“ ყმაწვილი სოტირის ნინისი (5 ხმით), ცნობილ ბარსელონელებს — ბოიან კრკიჩსა და ჯოვანი დოს სანტოსს 2-2 ხმა აქვთ, მათზე ერთით მეტი კი იტალიური „მილანის“ ბრაზილიელ ალეშანდრო პატოს მიუღია.

ამ სიაში 1989 წელს და ზევით დაბადებულები არიან, მათ შორის, ლონდონის „არსენალის“ თეო უოლკოტი და მიუნხენის „ბაიერნის“ ტონი კროოსი.

ილია ნანოგაშვილი

ახლა ულიე გამოჩნდა

ვერა და ვერ მოაბა თავი ირლანდიის საფეხბურთო ასოციაციამ, რათა ეროვნული გუნდისთვის მთავარი მწვრთნელი დაენიშნა.

ახლა „სამყურებმა“ არჩევანი კიდევ ერთ კანდიდატზე, ფრანგ ჟერარ ულიეზე შეაჩერეს.

ინგლისური „ლივერპულისა“ და ფრანგული „ლიონის“ ყოფილი მწვრთნელი ამჟამად საფრანგეთის ფეხბურთის ფედერაციის ტექნიკური დირექტორია და სამწვრთნელო საქმიანობისგან ისვენებს.

მიხეილ ჟორჟოლიანი

კარლსრუემ როიტლინგენი შემოაბრუნა

ალექსანდრე იაშვილი და მისი „კარლსრუე“ ამხანაგურად ქვედალიგელ „როიტლინგენს“ გაეჯიბრნენ და 5:2 მოუგეს, არადა, 23-ე წუთისთვის 0:2-ს აგებდნენ.

იაშვილმა სრულად ითამაშა, თუმცა გოლებში მისი წვლილი არ არის.

მიხეილ ჟორჟოლიანი

ინგლისი

I ლიგა

მილუოლი 2:2 ნოტინგემი

ბრისტოლი : დონკასტერი *გადადო*

ლიგის თასი

ევერტონი 0:1 ჩელსი

იტალია

სერია A. გადადებული მატჩი

ატალანტა 2:1 მილანი

თასი

უდინეზე 3:2 კატანია

სამპდორია 1:1 რომა

ინტერი 2:2 იუვენტუსი

ესპანეთი

თასი

ხეტაფე 1:0 მალიორკა

ვალენსია 1:0 ატლეტიკო

თურქეთი

თასი

დიარბაქირი 2:3 ანკარა

რიზე 1:0 ანკარაგიუჯიუ

ალანია 3:10 ფენერბაჰჩე

გაზიანთეფი 0:2 ძაისერი

დენიზლი 0:0 ბურსა

გენჩლერი 3:0 გალათასარი

საფრანგეთი

I დივიზიონი

ვალანსიენი 1:2 ლანსი

კაენი 0:0 ოსერი

ლილი 3:1 ლე მანი

ლიონი 2:0 ლორიანი

მონაკო 1:0 სოშო

პსჟ 3:0 მეცი

რენი 1:1 ნიცა

სტრასბური 2:0 ტულუზი

ნანსი 1:1 მარსელი

ჰოლანდია

დივიზიონი. XXII ტური

აიაქსი 2:0 უტრეხტი

გრაასფსხაპი 2:1 როდა

გრონინგენი 5:1 ნაიმეგენი

პსვ 3:1 სპარტა

ჰერენვენი 5:1 ვენლო

იუპილერლიგა. XXIV ტური

დენ ბოსხი 1:1 ვოლენდამი

პორტუგალია

ლიგის თასი

პენაფიელი 1:1 სეტუბალი

სპორტინგი 3:0 ბეირა მარი

შოტლანდია

პრემიერლიგა

სელტიკი — რეინჯერსი *გადადო*

თასი

კოვ რეინჯერსი 2:4 როს ქაუნთი

რეინჯერსი 6:0 ისტ სტირლინგი

ბრეტნა — მორტონი *გადადო*

აფრიკის თასი

ს. აფრიკა 1:1 ანგოლა

ამხანაგური მატჩები

ბაჰრეინი 1:2 სირია

ფრაიბურგი 3:1 შაფჰაუზენი

ნიურნბერგი 3:0 ციურიხი

ვოლენი 0:2 გრასჰოპერი

ვუჰერტალი 2:1 ბოხუმი

ლეგია 0:0 თუნი

ალენი 1:4 გლადბახი

ჰამბურგი 2:0 მიდტიულანდი

მაინცი 1:3 შტუტგარტი

არმინია 0:0 ესბიერგი

კარლ ცაისი 3:4 ვოლფსბურგი

ჩასემი ისრაელშია!



ბაფრი კეთილაძის ფოტო

ბოლნისის „სიონის“ კამერუნელი თავდამსხმელი ერიკ რომეო ჩასემი ისრაელის პირველი ლიგის ბერშევას „ჰაპოელში“ წავიდა გასინჯვაზე.

ჩასემმა რამდენიმე დღე „ზესტაფონშიც“ ივარჯიშა, თუმცა იმერლებს პირობებზე ვერ შეუთანხმდა და ისევ ბოლნისში დაბრუნდა.

როგორც ჩანს, ჩასემს ძალიან უნდა კლუბის გამოცვლა და ვნახოთ, რას ეტყვის „ჰაპოელი“.

ნუგრი ლოლაძე

სიონის ორი მეოთრეში

ბოლნისის „სიონმა“ მორიგი საკონტროლო მატჩი გამართა რატევანში და 2:0 დაამარცხა თბილისის „მერანი“.

„სიონს“ ტრავმების გამო არ ჰყავდა ლევან ბაჯელიძე, ბესიკ ქარდავა, ლაშა ვაშაკიძე, ბექა ნოზაძე და შოთა ჯიქია.

პირველ ნახევარში ბოლნისელები ასეთი შემადგენლობით იყვნენ: *ბობლიაშვილი, რაქვიაშვილი, ქურასბედიანი, ფრიდოლინი, ოქროპირიძე, ზ. ავალიანი, სვანიძე, კვიტაიშვილი, ალფაიძე, მიქელაძე, გიგინეიშვილი.*

მეორე ნახევარში გიორგი ყიფშიძემ ბლომად შეცვლები გააკეთა და სწორედ შეცვლაზე შესულმა ლევან ჩხეტიანმა გაიტანა 61-ე წუთზე, მეორე ბურთი კი 75-ე წუთზე ლევან გიგინეიშვილმა შეაგდო.

მერანელთა შემადგენლობა ასეთი იყო: *თევდორაძე, ლოლაძე, ლ. გრიგალაშვილი, გიგაური, სარალიძე, ჯანგიძე, შენგელია, ფურთუხია, ბ. ულენტი, ბაკურაძე, გოჩაშვილი.*

შეცვლაზე შევიდნენ: თავბერიძე, ტყეშელაშვილი, შველიძე, კაკულია, იაგო დეისაძე, იაკობ დეისაძე, რეხვიაშვილი.

„სიონი“ 24 იანვარს „ნორჩ დინამოელთან“, ხოლო 31 იანვარს აზერბაიჯანულ „სიმურგთან“ გეგმავს ტესტ-მატჩებს.

ნუგრი ლოლაძე

საქართველომ ინტერტოტოზე ცხრა გუნდი გააგზავნა

გუშინ ინტერტოტოს თასზე მონაწილეობის მსურველ კლუბებს უეფაში განაცხადის გაგზავნის ბოლო ვადა ჰქონდათ.

საქართველოდან 9 კლუბის თანხმობა გაიგზავნა უეფაში — ცხრილის ზედა ნაწილში მყოფი კლუბებიდან მხოლოდ „ამერმა“ თქვა უარი.

„მნიშვნელოვანია, რომ ინტერტოტოს თასზე თამაშის სურვილი გამოთქვა ცხინვალის „სპარტაკმაც“ და მათ თუ გააღწიეს ამ ტურნირზე, ეს მართლაც ფურორი იქნება პოლიტიკური თვალსაზრისით. ჩვენ უმაღლესი ლიგის ათ ლიცენზირებულ კლუბს ვკითხეთ, სურდათ თუ არა ინტერტოტოზე თამაში და მათგან ცხრამ დადებითი პასუხი თქვა“ — გვითხრა პროფლიგის გენერალურმა მენეჯერმა პაატა ბურჯალიანმა.

და კიდევ: არ არის გამორიცხული, საქართველომ ორი გუნდი გაიყვანოს ამ ტურნირზე. ეს იმ შემთხვევაში, თუ რამდენიმე ქვეყნის კლუბები უარს იტყვიან ინტერტოტოზე.

ბურჯალიანმა გვითხრა, ჩვენ ეს გავითვალისწინეთ და ამიტომაც, ადრე თუ 7 გუნდის განაცხადს ვაგზავნიდით, ამჯერად 9 გავაგზავნეთო.

შეგახსენებთ: ლაპარაკია ინტერტოტოს თასის ბოლო გათამაშებაზე — 2009-2010 წლების სეზონიდან ეს ტურნირი აღარ იქნება.

ილია ნანობაშვილი

საქართველოს ჩემპიონატში ყველა ფეხბურთელი ერთმანეთს ჰგავს

ბაფრი კეთილაძის ფოტო

ვლადიმერ ჯოჯუა, თემურ ფარულავა, გელა ხუბუა — ეს ფეხბურთელები „მგლებიდან“ წავიდნენ რუსთავის „ოლიმპში“. ამას გარდა, ზუგდიდელებს კიდევ აქვთ დანაკლისი, თუმც მათი მწვრთნელი ბესიკ შეროზია იმედიანადაა, ვიღაც მოდის გუნდში, ვიღაც მიდის, ჩვენ კი მთავარ ამოცანას შევასრულებთ და უმაღლეს ლიგაში დავრჩებითო. როგორ ემზადება „მგლები“, ამის თაობაზე სწორედ შეროზიამ გვითხრა...

ბესიკ შეროზია: შევთხელდით, მაგრამ არ დავსუსტებულვართ

— 27 იანვრამდე ზუგდიდში ვივარჯიშებთ, მერე კი ქობულეთში ჩავალთ და 10 თებერვლამდე იქ მოვაწყობთ შეკრებას. ტესტ-მატჩები არ ჩაგვიტარებია, მხოლოდ ორმხრივი თამაში გვქონდა. ქობულეთში ვისთან გვექნება შეხვედრები, ჯერ ზუსტად არ ვიცი.

— „მგლები“ რამდენიმე წამყვანმა ფეხბურთელმა დატოვა, მათ შემცვლელებზე კი არაფერი ვიცით...

— ჯოჯუა, ფარულავა და ხუბუა „ოლიმპში“ არიან. დავით კუტალია ბოსნიის უმაღლესი ლიგის ერთ-ერთ გუნდში მიდის, გიორგი ჭედია კი — ლიტვაში. რაც შეეხება ნამატს, ახალციხის „მესხეთიდან“ გიგა ჟვანია და თბილისის „ლოკომოტივიდან“ ლერი ხოხონიშვილი გადმოვიყვანეთ. შეიძლება უკვე ითქვას, რომ ისინი მეორე წრეს „მგლებში“ ჩაატარებენ.

— წასული გაცილებით მეტია. ეს იმას ნიშნავს, რომ „მგლები“ მეორე წრეში უფრო სუსტი იქნება?

— შემადგენლობა კი შეთხელდა, მაგრამ გასინჯვაზე რამდენიმე ფეხბურთელი გვყავს. მათი უმეტესობა „მგლების“ მეორე გუნდიდანაა, ასევე „ვიტ ჯორჯია 2“-დან მოვიყვანეთ კუჭუხიძე. ესენი საკმაოდ პერსპექტიული ბიჭები არიან, ასე რომ, „მგლები“ არ დასუსტდება. თანაც, სახელების რა გითხრათ და რომ ვაკვირდები, საქართველოში ყველა ფეხბურთელი თითქოს თანაბარი დონისაა, ყველა ერთმანეთს ჰგავს.

— ფინანსურად როგორი მდგომარეობაა კლუბში?

— ნორმალური. ისეთი, როგორიც პირველ წრეში იყო. კლუბის ხელმძღვანელობა რასაც შეგვპირდა, შეგვისრულა. ამ ეტაპზე უცხოეთში შეკრებაც შეგვეძლო, თუმც აქ დარჩენა ვარჩიეთ. წლეულს აუცილებლად დავრჩებით უმაღლესში, მომდევნო სეზონში კი უფრო კარგი გუნდის გაკეთება იგეგმება და ვნახოთ...

ილია ნანობაშვილი

ზესტაფონი თურქეთში ძოძუაშვილს შეხვდება

ქართული გუნდების უმრავლესობა, რომელთაც ფინანსური საშუალება ოდნავ მაინც აქვთ, ანთალიაში მიემგზავრება შეკრებაზე.

თბილისის „დინამომ“ პირველი შეკრება დაასრულა და დედაქალაქში დაბრუნდა, თუმც მალე ისევ თურქული კურორტისკენ აიღებს გეზს.

თბილისის „ლოკომოტივიც“ 19 იანვარს წავიდა და იქ ემზადება. დღეს კი ანთალიას „ზესტაფონმა“ მიაშურა და იქ ორი კვირა დარჩება. როგორც შევიტყვეთ, იმერლები მინი-ტურნირშიც მიიღებენ მონაწილეობას, სადაც რუმინული, უნგრული, სლოვაკური, რუსული და ყაზახური გუნდები ითამაშებენ. ყაზახეთს ყარაგანდის „შახტიორი“ წარმოადგენს, რომელსაც რევაზ ძოძუაშვილი წვრთნის და ორი ქართველი ფეხბურთელი ჰყავს — ლაშა ნოზაძე და ლევან მელქაძე.

ნუგრი ლოლაძე

ქართველების სრული სეული

ყარაგანდის „შახტიორი“ ანთალიაშია შეკრებაზე და ამხანაგურ მატჩებსაც ატარებს.

გუშინ რევაზ ძოძუაშვილის გუნდი სამხრეთკორეულ „სეულს“ ეთამაშა — მატჩი 2:2 დასრულდა.

ძოძუაშვილმა ორივე ქართველი, ლევან მელქაძე და ლაშა ნოზაძე, 90-90 წუთი ათამაშა, მაგრამ გოლი არც ერთს გაუტანია.

„შახტიორი“ მორიგ ამხანაგურ მატჩს ხვალ რუმინულ „გლორიასთან“ ჩააატარებს.

ნუგრი ლოლაძე

ბექა გოცირიძის ნალჩიკი გამოირიცხა

ნალჩიკის „სპარტაკის“ თავკაცმა იური კრასნოჟანმა თქვა, გუნდის ყველა რგოლი დავაკომპლექტე, თავდასხმის გარდაო. მწვრთნელმა გამოსაცდელი ფეხბურთელები ჩამოთვალა და მათ შორის ბექა გოცირიძეც ახსენა, თუმცა გადაწყვეტილია, რომ საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების მეგოლე ზაფხულამდე „ზესტაფონში“ დარჩება.

„ჩემ შესაძლო ტრანსფერზე არაფერი ისმის. „ზესტაფონს“ შეკრებაზე მივყვები და გამოდის, რომ კლუბს ვეღარ შევიცვლი“ — გვითხრა ბექამ.

ილია ნანობაშვილი

აბშილავამ დარიდა მოსინჯვა

თბილისის „მერანის“ მცველი დავით აბშილავა ბელარუსულ ჟდანოვოს „დარიდაში“ ისინჯება.

22 წლის ფეხბურთელმა პირველი საკონტროლო მატჩიც ჩაატარა — „დარიდა“ ჟოდინოს „ტორპედოს“ 1:1 დაუზავდა.

ჩვენებური შეხვედრაში 66-ე წუთზე ჩაერთო.

შეგახსენებთ, რომ ბელარუსში, მოგილიოვის „დნეპრში“ ისინჯებიან გოჩა ლომიძე და შალვა ლობჟანიძე.

მიხეილ ჟორჟოლიანი

კობაური და ცხადაძე: სტანდარტშიც ერთად



საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის პირველი წრის დასრულების შემდეგ თბილისის „ამერი“ რამდენიმე ფეხბურთელმა დატოვა.

გუშინდელ „სარბიელში“ გამცნეთ, რომ ყოფილმა ამერელმა გიზო ჯელაძემ ყაზახურ „ვოსტოკთან“ გააფორმა კონტრაქტი. კიდევ ერთი ამერელი, მიხეილ კობაური კი აზერბაიჯანშია და, სავარაუდოდ, კარიერას „სტანდარტში“ გააგრძელებს, რომლის მთავარი მწვრთნელიც კახა ცხადაძეა.

შეგახსენებთ: კობაური ცხადაძის შეგირდი ბოლნისის „სიონში“ იყო.

ნუგრი ლოლაძე

დილამ ჩუკვუ გაუშვა

გორის „დილა“ მზადებას შინ აგრძელებს — დღეიდან გორელები შეკრებაზე გადავლენ და ერთი კვირა ფიზიკურ მომზადებას გაივლიან.

გეხსომებათ, პირველ წრეში ნიგერიელი ლეგიონერი დიქსი ჩუკვუ უვადიაგვუც თამაშობდა „დილაში“, მაგრამ ახალმა მწვრთნელმა ზურაბ ხორგუაშვილმა მასთან განშორება გადაწყვიტა.

ქართლელები 3-4 ფეხბურთელით გაძლიერებას გეგმავენ და, როგორც ხორგუაშვილმა გვითხრა, მეორე შეკრებას ზღვისპირეთში გაივლიან, სადაც ტესტ-მატჩებსაც გამართავენ.

ნუგრი ლოლაძე

მჭედლიძეს დებიუტს ტრავმა უგვიანებს

საქართველოს ეროვნული ნაკრებისა და იტალიური „ემპოლის“ თავდამსხმელი ლევან მჭედლიძე ტრავმირებულია და ამიტომ ვერ ეხმარება თავის კლუბს.

17 წლის მჭედლიძის იტალიურ დებიუტს იანვარში ველოდით, მაგრამ ქართველ ფეხბურთელს ჯანმრთელობამ უმტყუნა და ჯერჯერობით სრული დატვირთვით ვერ ვარჯიშობს.

„ტრავმები ვერა და ვერ მოვიშორეთ. რამდენიმე კი გამოჯანმრთელდა, მაგრამ მარკიზიო და მჭედლიძე ჯერ ისევ მკურნალობენ“ — განუცხადა ჟურნალისტებს „ემპოლის“ თავკაცმა ალბერტო მალეზანიმ, ვინც ლევანს კარგი თვალით უყურებს და იანვრის დასაწყისში ტურინის „იუვენტუსთან“ სათასო მატჩის განაცხადშიც შეიყვანა. არადა, მჭედლიძეს ფეხი მაშინაც აწუხებდა.

კახა შალამბერიძე

არც საქართველო, არც სხვა
სტივ ფინანი სამყურა აღარ არის

საქართველოს ეროვნული ნაკრები 6 თებერვალს ამხანაგურად ლატვიელებს გაეჯიბრება. ამავე დღეს, მსოფლიოს 2010 წლის ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე ქართველთა თანაჯგუფელი ირლანდიის ნაკრები მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონ ბრაზილიას შეხვდება.

ჯერჯერობით უმთავარმწვრთნელოდ მყოფ ირლანდიელებს შემადგენლობა არ დაუსახელებიათ, თუმც ცნობილია, რომ ამ შეხვედრაში არ ითამაშებს ინგლისური „ლივერპულის“ მცველი სტივ ფინანი — ის „სამყურებს“ არც ქართველებთან მომავალ მატჩებში დაეხმარება, რადგან...

„მსოფლიოს მომავალი პირველობა 2010 წელს გაიმართება, მაშინ საკმაოდ ასაკოვანი ვიქნები. დროა, ჩემი ადგილი ახალგაზრდებს დავუთმო“ — განაცხადა 32 წლის ფინანმა და ნაკრებში თამაშზე უარი განაცხადა.

ცნობისთვის: ფინანს ნაკრების მაისურა 50-ჯერ მოურგია.

მიხეილ ჟორჟოლიანი

ახალი ქართველი ბალტიისპირეთში
ჭედიას სუდუვა ელის, ხურციძეს კაუნასი აგვარებს

ლიტვაში კიდევ ერთ ქართველ ფეხბურთელს ელიან — ზუგდიდის „მგლების“ შემტევი გიორგი ჭედია ამ დღეებში ბალტიისპირეთს ეწვევა და იქაურ „სუდუვაში“ დაიწყებს ვარჯიშს.

თუ მწვრთნელებს თავს მოაწონებს, კონტრაქტსაც გაუფორმებენ.

როგორც შევიტყვეთ, გიორგი ჭედიას მიწვევა უკვე მიუვიდა და მხოლოდ სავიზო ფორმალობებიღა დარჩა მოსაგვარებელი.

აქვე იმასაც გეტყვით, რომ „სუდუვა“ შარშან ლიტვის ჩემპიონატში მეორე ადგილზე გავიდა და მხოლოდ „კაუნასს“ ჩამორჩა.

რაც შეეხება „კაუნასში“ მყოფ ზურაბ ხურციძეს, მისი ბალტიისპირეთში დარჩენა თითქმის გადაწყვეტილია.

ერთადერთ ხელისშემშლელ ფაქტორად მისი ასაკი რჩება — 16 წლის ფეხბურთელს პროფესიონალური კონტრაქტის გაფორმება არ შეუძლია, თუმც ამ საკითხის მოგვარებაზე ისევ „კაუნასი“ ზრუნავს და აპირებს, ხურციძეს ოფიციალური მეურვეობა გაუწიოს, რაც საქმეს გააიოლებს.

ფორმალური საკითხების მოგვარების შემდეგ ხურციძე „კაუნასთან“ 3+2-წლიან კონტრაქტს გააფორმებს.

მიხეილ ჟორჟოლიანი

პადერბორნს ტესტებიც უხეირო აქვს

ესპანეთში შეკრებაზე მყოფმა გერმანულმა „პადერბორნმა“ მორიგი საკონტროლო მატჩი წააგო, ამჯერად „ჰანოვერთან“ — 1:4.

პადერბორნელები ნებოისა კრუპნიკოვიჩის გოლით იგებდნენ, თუმც უპირატესობა ვერ შეინარჩუნეს. დავით სირაძე მოედანზე მეორე ტაიმში გამოვიდა, მაგრამ გუნდს ვერაფრით შეეწია.

„პადერბორნი“ გერმანიის მეორე ბუნდესლიგაში ბოლო ადგილზეა და ადგილის შესანარჩუნებლად სერიოზული ბრძოლა მოუწევს. დავით სირაძის გუნდი საკონტროლო მატჩებსაც უხეიროდ ატარებს — ოთხ მატჩში სამი მარცხი და ერთი ფრე.

მიხეილ ჟორჟოლიანი

ალადაშვილმა საგოლე პასს გოლი მიუმატა

თურქულ შეკრებაზე მყოფმა „ხარკოვმა“ პირველი საკონტროლო მატჩი გამართა რუმინულ „ოცელულთან“ და 1:1 ითამაშა.

ხარკოველებს გასინჯვაზე კახა ალადაშვილი ახლავს და ჩვენებურიც კარგად ირჯება.

„ოცელულთან“ მატჩში ალადაშვილი გოლით გამოირჩა და გუნდი მარცხისგან იხსნა — ხარკოველთა შეტევის შემდეგ ბურთი რუმინელთა მეკარემ მოიგერია და დამატებაზე ალადაშვილმა იხეირა.

შეგახსენებთ: თურქეთში წასვლამდე, „სიბირთან“ ამხანაგურ მატჩში ალადაშვილი საგოლე პასითაც გამოირჩა.

ხარკოველები თურქულ შეკრებაზე კიდევ ერთ ქართველს, ოთარ მარცვალაძეს ელიან, რომელიც ტრავმის გამო ვერ გაჰყვა გუნდს.

მიხეილ ჟორჟოლიანი

დემეტრაძე: ისევ მშრალი მეორე

კიდევ ერთი მატჩი გამართეს გიორგი დემეტრაძემ და კიევის „არსენალმა“. უკრაინელებმა ამჯერად რუმინეთის ჩემპიონატის ლიდერ „კლუჟს“ ალანისა და სელეზნიოვის გოლებით მოუგეს.

დემეტრაძემ, როგორც ყველა საკონტროლო მატჩში, ამჯერადაც მეორე ტაიმი ითამაშა და არც ერთ საგოლე კომბინაციაში მონაწილეობა არ მიუღია.

მიხეილ ჟორჟოლიანი

ორი ქართველი თურქეთში
ტრაბზონსფორმა გაბელია წაიყვანა, შადობა მიჰყავს

გულნარა გაბელია

ქალთა ფეხბურთი და საქართველო — ვერავინ იტყვის, რომ ეს ორი მცნება ბიძაშვილებივით ახლოს არიან ერთმანეთთან, თუმცა რაც არის, ეს არის. ფიფა-უეფას მოთხოვნით, ყველა ქვეყანას უნდა ჰყავდეს ქალთა ნაკრები და უნდა ატარებდეს ჩემპიონატს, ჰა-ჰა, თასის გათამაშებას მაინც. ჩვენც ამ ვაგონის მგზავრები ვართ, ოღონდ მხოლოდ მგზავრები. მიზეზთა და მიზეზთა გამო უფრო სერიოზულ რამეზე ფიქრი ქართველ ქალ ფეხბურთელებს არ შეუძლიათ და ეს უფრო ბუნებრივია, ვიდრე არაბუნებრივი...

შესავალი შესავლად და, ამ ყველაფრის თქმა თუ განმარტება იმად დაგვჭირდა, რომ ერთ ტრანსფერზე გვეთქვა — 22 წლის სენაკელი გულნარა გაბელია თურქულ „ტრაბზონსფორში“ გადავიდა.

გულნარა, ვისაც შინ კესოს ეძახიან, თურქეთში კი ნარას, ამპლუით თავდამსხმელია, 2006 წელს საქართველოს ჩემპიონი გახდა თბილისის „დინამოსთან“ ერთად, 5 მატჩში 9 გოლი გაიტანა, თუმცა მერე თამაში მიატოვა და წელიწადნახევარი უქმად იყო.

გასული წლის დეკემბერში თურქეთში მცხოვრები კახა ადამიას დახმარებით „ტრაბზონსფორის“ ქალთა გუნდში მივიდა და რამდენიმე ვარჯიშის შემდეგ სეზონის ბოლომდე კონტრაქტი გაუფორმეს.

„ტრაბზონსფორმა“ სამი თვის წინ ჩამოაყალიბა ქალთა გუნდი, რომელიც „ბაიან ლიგაში“ (ქალთა ლიგა) თამაშობს.

„ბაიან ლიგაში“ უკვე ხუთი ტური ჩატარდა და „ტრაბზონსფორი“ ლიდერთა შორისაა, რასაც თურქები ნარა გაბელიას შემატებით ხსნიან. ახლა ჩემპიონატში თებერვლამდე შესვენებაა.

კახა ადამიას ცნობით, „ტრაბზონსფორში“ 4 იანვარს მეორე ქართველიც ჩავიდა — 20 წლის ბათუმელი მეკარე ქრისტინა შადობა. ჯერჯერობით მისი საკითხი გადაწყვეტილი არ არის.

ქრისტინაც და გულნარაც „ტრაბზონსფორის“ ბაზაზე ცხოვრობენ... მოკლედ, ლეგიონერები ქალთა ფეხბურთშიც გამოგვიჩნდნენ...

კახა შალამბერიძე

ზავი ლომებისა და არწივებისა

C ჯგუფი

სუდანი 0:3 ზამბია

0:1 ჩამანგა (2), 0:2 მულენგა (51), 0:3 კატონგო (59)

სუდანი: ელ მოეზი, ბაკ ჰეიტი, ალი ხიდერი, ჯიბრილი, ლადო, მოსტაფა, ბაშირი (იდრისი 80), ელ დოუდი, მოჰ ამედი (ალაელდინი 24), ტამბალი, აგაბი (ბაბიკერი 57)

მწვრთნელი: მოჰამედ აბდალა

ზამბია: მვენე, ნკუტანი, მუსონდა, მვანზა,ჰაჩილენსა, ბაკალა, კალაბა, კატონგო, ჯ. მულენგა, ფირი (მაიუკა 70), ჩამანგა (კ. მულენგა 83)

მწვრთნელი: პატრიკ ფირი

მსაჯი: ბადარა დიატა (სენეგალი)

ზამბია	1	1	0	0	3:0	3
ეგვიპტე	1	1	0	0	4:2	3
კამერუნი	1	0	0	1	2:4	0
სუდანი	1	0	0	1	0:3	0

C ჯგუფის მეორე მატჩში აბსოლუტურად ლოგიკური შედეგი დაფიქსირდა — აფრიკის ეროვნებათა თასზე პრაქტიკულად შემთხვევით მოხვედრილმა სუდანელებმა ზამბიის ნაკრებს ვერაფერი დააკლეს და დიდი ანგარიშითაც დამარცხდნენ. მართალია, ზამბიელთა სათამაშო უპირატესობა არცთუ შთამბეჭდავი გახლდათ, მაგრამ პატრიკ ფირის შეგირდებმა პრაქტიკულად ყველა საგოლე მომენტის გამოყენება შეძლეს, მაშინ როცა „ნილოსის ნიანგებმა“ ყველა შანსი წყალს გააყოლეს...

„სპილენძის ტყვიების“ პირველი გოლი მატჩის დებიუტშივე გავიდა — ჯეიმს ჩამანგამ საკმაოდ ეფექტური დარტყმით სუდანელთა კარის შორეული კუთხე დალაშქრა. მეორე ტაიმის დასწყისში კი თავი ჯეიკობ მულენგამ და ფელიქს კატონგომ ისახელეს. პირველმა გოლი მოგებული საჰარო ორთაბრძოლის შედეგად გაიტანა, მეორემ კი დამატებაზე იყოჩალა. ამ გამარჯვებამ ზამბიელი „ტყვიები“ C ჯგუფის ცხრილის პირველ საფეხურზე აიყვანა.

D ჯგუფი

ტუნისი 2:2 სენეგალი

1:0 ჟემაა (9), 1:1 სალი (46), 1:2 დ. კამარა (66), 2:2 ტრაუი (83)

ტუნისი: ქასრაუი, ფელჰი, ბექრი, ჟაიდი, ჰაგი, ზუაღი (ბენ დჰიფალა 80), მნარი, ტრაუი, ჟემაა (მიქარი 87), დუშ სანტუში (ზაიემი 62), შიხაუი

მწვრთნელი: როჟე ლემერი

სენეგალი: სილვა, ბეიე, დიავარა, ფაი, ნდო, დ. კამარა, მენდი (ა. კამარა 61), ნდოი (დიოპი 62), სალი, დიუფი, ნიანგი (გეიე 88)

მწვრთნელი: ჰენრი კასპერჩაკი

მსაჯი: იუიჩი ნიჩიმურა (იაპონია)

განაში მიმდინარე ტურნირის პირველი ფრე მხოლოდ მეოთხე საშეჯიბრო დღეს დაფიქსირდა. პრინციპში, სპეციალისტთა უმრავლესობა ტუნისურ-სენეგალური დაპირისპირების ყველაზე სავარაუდო შედეგად სწორედ ყაიმს ასახელებდა, თუმცა ვერავინ ივარაუდებდა, რომ ტურნირის ორი ფავორიტთაგანის დაპირისდპირებაში ამდენი გოლი გავიდოდა. საერთოდაც, მიმდინარე ტურნირი საკმაოდ უხვგოლიანია — საანგარიშო მატჩამდე გამართულ ექვს შეხვედრაში 20 გოლი გავიდა და მაღალშედეგიანობის ეს ტრადიცია გუშინაც გაგრძელდა.

თამაშის ხარისხით სენეგალისა და ტუნისის ნაკრებთა შეხვედრა ალბათ საუკეთესო იყო აქამდე გამართულ მატჩთაგან. ჩრდლოაფრიკელები ევროპულთან დაახლოებულ სტილს ქადაგებენ — მკაცრ დაცვასა და კომბინაციურ შეტევებზე დაფუძნებულ ფეხბურთს, რომელიც მათ ამჟამინდელ დამრიგებელს, სახელგანთქმულ ფრანგ როჟე ლემერს ევროპაში მუშაობისასაც ახასიათებდა. ხოლო ტუნისელთა მეტოქე „ტერანგას ლომები“ უფრო ძალისმიერ და ათლეტურ თამაშს არიან მიჩვეულნი, ოღონდაც სენეგალელთა პოლონელმა თავკაცმა ჰენრი კასპერჩაკმა თავის შეგირდებს ტაქტიკურად ჭკუა საკმაოდ კარგად დაარიგა. თამაში თანაბარ ბრძოლაში წარიმართა, რომელშიც უპირატესობას ხან ერთი მხარე ფლობდა, ხან მეორე.

სენეგალელებს ტუნისელებთან ძველი ანგარიში ჰქონდათ გასასწორებელი: 2004 წლის ეროვნებათა თასზე, როცა „ქართაგენელმა არწივებმა“ სამშობლოში გამართულ ტურნირზე კონტინენტის ჩემპიონობა ისტორიაში პირველად მოიპოვეს, ამ გუნდების მეოთხედფინალური მატჩის შემდეგ „ლომებს“ ძლიერ გაუჭირდათ თავისი ლიდერის, ელ-ჰაჯი დიუფის შეკავება. მაშინ, ჯერ კიდევ "ლივერპულის“ ფორვარდმა, თავისი გუნდის მარცხში (0:1) არბიტრი დაადანაშაულა და რეფერის ცემა დაუპირა.

გუშინდელი მატჩის დასაწყისი „ლომებს“ კარგს არაფერს უქადდა — ფრანგული "კაენის“ შემტევმა ისამ ჟემაამ ტუნისი უკვე მე-9 წუთზე დააწინაურა. ტაიმის მეორე ნახევარი კასპერჩაკის მოწაფეთა სათამაშო უპირატესობით წარიმართა და წამატებულ წუთზე ტუნისელ მცველთა პოზიციურ შეცდომას უსმან ნდოის ზუსტი პასი და მუსტაფა ბაიალ სალის აუღებელი დარტყმა მოყვა — 1:1.

შეხვედრის მეორე ნახევარი ჩრდილოელთა აქტიურობით დაიწყო. ლემერის ბიჭები თამაშს სრულად აკონტროლებდნენ და რამდენჯერმე გოლის გატანაც შეეძლოთ, მაგრამ თავისი შანსები ვერ გამოიყენეს და დაისაჯნენ — სენეგალის ნაკრების ერთ-ერთი კონტრშეტევისას ჰამდი ქასრაუის საჯარიმოში არეულობა შეიქმნა და რამდენიმე რიკოშეტის შემდეგ ბურთი „ფულემის“ შუახაზელ დიომანსი კამარას დასარტყმელად მოქნეულ ფეხზე დაჯდა — 2:1 „ლომების“ სასარგებლოდ.

ამის მერე ტუნისელებს შეტევაში აღარაფერი გამოსდიოდათ, არადა შეცვლაზე ახალშესულმა ქამელ ზაიემმა სენეგალელი უკანახაზელები გვარიანად აწვალა. ეს ახალგაზრდა დასკვნით ნახევარ საათში მინდორზე ყველაზე შესამჩნევი იყო, თუმცა ქულის მომტანი გოლის გატანის პატივი სულ სხვა ფეხბურთელს ერგო. აფრიკის საკლუბო ჩემპიონის, ტუნისის "ეტუალ დუ საჰელის“ ნახევარმცველმა მეჟდი ტრაუიმ ბურთი სენეგალელთა საჯარიმოს მისადგომებთან მიიღო და ეფექტური დარტყმით გაოგნებული ტონი სილვას კარის მაღალ შორეულ კუთხეში ჩაჭედა. 2:2 და თუ ფეხბურთელთა მატჩისშემდგომი რეაქციით ვიხელმძღვანელებთ, ამ შედეგმა სენეგალიც დააკმაყოფილა და ტუნისიც.

სლავა გასპაროვი



დიოპმა და ბექრიმ ერთმანეთი გვარიანად ჩაწიბლეს



დუნგას ოლიმპიური სია

ბრაზილიის ნაკრების მწვრთნელმა კარლოს დუნგამ განაცხადა, რომ თებერვალში, დუბლინში ირლანდიასთან ამხანაგურ მატჩში ექსპერიმენტულ შემადგენლობას ათამაშებს. ეროვნულ გუნდში გამოძახებული 22 ფეხბურთელიდან ათი 23-წლამდელია, ანუ ის თაობაა, რომელმაც, დუნგას აზრით, ჩინეთში წლეულს ოლიმპიადა უნდა მოიგოს.

ბრაზილიის ნაკრების თავკაცმა „მილანის“ ყმაწვილკაცი ალეშანდრე პატო გამოიძახა, რომელმაც სერია A-ს სადებიუტო მატჩში „ნაპოლის“ კარში გოლი გაიტანა. დუნგამ ასევე უხმო „მანჩესტერის“ ნახევამცველ ანდერსონს, „ლივერპულის“ ლუკაშ ლეივას და „სან პაულს“ რიჩარდსონს. ნაკრების მწვრთნელმა პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ ირლანდიასთან მატჩი ბრაზილიის ოლიმპიელებისთვის მოსამზადებელი იქნება: „ოლიმპიურ გუნდს ამხანაგური მატჩების გამართვის საშუალება არ აქვს და ამიტომ ამ ბიჭებისთვის ირლანდიასთან შეხვედრა მნიშვნელოვანია. ისინი გამოცდილებას მიიღებენ.

პატარების გარდა „პიენტაკამპეონებში“ გამოიძახეს კაკა, რობინიო, ჟულიო ბაპტიშტა და ალექსი. რონალდო ნაკრებს მიღმა დარჩა, ხოლო რონალდინიოს მუხლის ტრავმა აწუხებს და მწვრთნელმა არ გამოიძახა. ბრაზილია 6 თებერვალს ირლანდიას დაეჯახება, 26 მარტს კი შვედეთს ლონდონში, „არსენალის“ სტადიონზე შეხვდება.

ბრაზილია: რენანი („ინტერნასიონალი“), ჟულიო სეზარი, მიკონი (ორივე — „ინტერი“, იტალია), რაფინია („შალკე“, გერმანია), მარსელუ („რეალი“, ესპანეთი), ლუსიო („ბაიერნი“, გერმანია), ლუიზაუ („ბენფიკა“, გერმანია), ბრუნო („ბაიერნი“, გერმანია), ალექსი („ჩელსი“, ინგლისი), ჟილბერტო სილვა („არსენალი“, ინგლისი), ერნანეში („სან პაულუ“), ჟოსუე („ვოლფსბურგი“, გერმანია), ლუკაშ ლეივა („ლივერპული“, ინგლისი), რიჩარდსონი („სან პაულუ), ანდერსონი („მანჩესტერი“, ინგლისი), ტიაგუ ნეტეში („ფლუმინენსე“), კაკა („მილანი“, იტალია), ჟულიო ბაპტიშტა („რეალი“, ესპანეთი), ალეშანდრე პატო („მილანი“, იტალია), რობინიო („რეალი“, ესპანეთი), ლუიშ ფაბიანო („სევილია“, ესპანეთი), რაფაელ სობისი („ბეტისი“, ესპანეთი).

ვაჟა ხუციშვილი

ინტერი იუვეს ეჯიბრება

სერხიო აგერო

ესპანურ-იტალიური პრესის ცნობით, მილანის „ინტერი“ ახალგაზრდა არგენტინელი სერხიო აგეროსა და ბრაზილიელი დიეგოსთვის ბრძოლაში ჩაბმას აპირებს.

გავრცელებული ინფორმაციით, მილანელები მზად არიან, აგეროს სანაცვლოდ დაახლოებით 12-13 მილიონი ევრო გადაიხადოს, „ატლეტიკო“ კი 18 მილიონს ითხოვს.

შეგახსენებთ, რომ დიეგოსთვის „იუვე“ დიდი ხანია, იბრძვის, მაგრამ „ვერდერის“ ბრაზილიელი პლეიმეიკერის გადაბირებისთვის ბრძოლაში ახლა „ინტერიც“ ჩაერთო.

„ოლოფ მელბერგი „იუვენტუსში“ გადასვლასთან ძალიან ახლოსაა და იგივეს ვიტყოდი მოჰამედ სისოკოზეც. დანარჩენი მომავალში გაირკვევა“ — განაცხადა „ბაინკონერის“ სპორტულმა დირექტორმა ალესიო სეკომ.

გიორგი კაკაბაძე

ასქოლგიანი მაკი და იღბლიანი ფაბიო

იცით, რას ამბობს ინგლისის ნაკრების ყოფილი მწვრთნელი სტივ მაკლარენი? ის აცხადებს, რომ მისი მემკვიდრე „მსოფლიოში ურთულეს თანამდებობაზე", იტალიელი ფაბიო კაპელო, საქმეს ამაზე იღბლიან დროს ვერ შეუდგებოდა. რატომ? იმიტომ, რომ, რაც დახვდა, იმაზე უარესი ალარ არსებობს...

„ვფიქრობ, კაპელო ინგლისის ნაკრების მწვრთნელის პოსტზე ფანტასტიკურ დროს მივიდა — უთხრა მაკლარენმა ჟურნალისტებს — დღეს გუნდი უმდაბლეს დონესა და ადგილზეა. ის ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე ვერ გავიდა და, შესაბამისად, არავინ არაფერის მოლოდინში არ არის. ერთადერთი, რაც ამიერიდან გუნდსა და ფეხბურთელებს მოეთხოვებათ, უარესი მდგომარეობის გამოსწორებაა, საამისოდ კი ჩვენ ფეხბურთელები, ხოლო კაპელოს გამოცდილება და ცოდნა აქვს".

თუმცა, მაკლარენი ერთ რეკომენდაციასაც იძლევა: იმისათვის რომ ინგლისის ნაკრებმა დონე აიმაღლოს, საჭიროა უმაღლესი დონის კლუბებში სულ მეტმა და მეტმა ინგლისელმა ფეხბურთელმა ითამაშოს.

„ერთადერთი შეჯიბრება, რომლის დონეც სანაკრებო დონეს უტოლდება, ჩემპიონთა ლიგაა, ხოლო ჩემპიონთა ლიგაში საკმარისი რაოდენობის ინგლისელი ფეხბურთელი არ თამაშობს" — ბრძანა მწვრთნელყოფილმა.

და, თითქოს, ამ საქმიან ნოტაზე მოკლე წერილის დასრულებაც უპრიანი იქნებოდა, მაგრამ ვაგლახ, როგორ გინდა, ქოლგების ამბავი არ თქვა? დიახ, ქოლგების ამბავი, რომელზეც ახლა დაწვრილებით მოგახსენებთ: გახსოვთ, ევროპის 2008 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის ბოლო მატჩი „უემბლიზე", სადაც ინგლისელებს ხორვატებთან ფრედ მაინც უნდა ეთამაშათ, რათა ფინალური ეტაპის საგზური მიეღოთ, მაგრამ ვერ შეძლეს, 2:3 წააგეს და შეჯიბრების მიღმა დარჩნენ? იმ დღეს ლონდონში წვიმდა და ამ წვიმის წყალობით ისტორიას შემორჩა მხატვრული ფოტო, როგორ დგას მატჩის შემდეგ დამარცხებული მაკლარენი ქოლგით ხელში. ეს ფოტო ინგლისში იმდენად პოპულარული გახდა, რომ ყველა ჟურნალისა და გაზეთის ფურცლები მოიარა, თან არაერთხელ, მაგრამ ხალხის ამბავი ხომ იცით, ზოგი ბოროტია, ზოგიც კეთილი. კეთილმა ხალხმა წაგება გამოიტირა, მაკლარენზე გაბრაზდა, შემდეგ შეეცოდა, ფოტო კი მიიწონა და მომავალზე დაიწყო ფიქრი, ბოროტებმა კი ინგლისის ნაკრების აწ უკვე გადამდგარ თავკაცს საშობაოდ ქოლგები გაუგზავნეს.

„ახლა შინ ასობით ქოლგა მიდევს — უთხრა ჟურნალისტებს 46 წლის სპეციალისტმა. — იცით, ბიჭებიც კი შემიძლია გავხსნა, ფულს მოვიგებ. ვიღებ უამრავ მესიჯს ერთი და იმავე შინაარსით: სად არის ქოლგა, შე დოყლაპიავ? (ინგლისურად რითმაა: Where's the brolly wally), ხოლო ერთხელ, რესტორანში, როდესაც მავანმა მორიგი ქოლგა შემომთავაზა, უარი ვთქვი, რადგან გავიგე, რომ ჩემი ახალი ფოტო ქოლგით ხელში გვარიანი თანხა დაუფასებიათ. ამასწინათ, ჩემს უფროს ბიჭს ფული შემოაკლდა და გამეხუმრა, გავიგე, შენი ფოტო ქოლგით ხელში 10 ათასი გირვანქა ღირს და მოდი, რა, გადაგიღებ და გავყიდიო. სხვათაშორის, იმ საბედისწერო საღამომდე ქოლგა ცხოვრებაში არ დამჭირვებია, რადგან სათადარიგოთა სკამები, როგორც წესი, გადახურულია, ან, ბოლოს და ბოლოს, გვირაბიდან შეიძლება მატჩისთვის თვალის დევნება, მაგრამ „უემბლიზე" ეს გამორიცხულია, ასე რომ იმ დღეს საშინელ თქეშს თავს ვერსად შევაფარებდი, ერთადერთი ქოლგით დგომაღა დამრჩენოდა. ხოლო თამაში რომ წავაგეთ, მერე ჩემთვის სულერთი იყო, როგორ ვიდექი, რანაირი სახე მქონდა და ვინ რა ფოტოს მიღებდა. თუმცა, ამას არანაირი მნიშვნელობა არც აქვს. მე ხომ შედეგით მაფასებენ და არა ჩაცმულობის ან იმის მიხდვით, იმ დღეს როგორი ქოლგა მეჭირა".

პაპუნა კედია

გაიძვერა ხუანდე

რამოსმა აგენტიც შეაცდინა და მთელი სევილიაც...

ინგლისში სამწვრთნელოდ გადაბარგებულ ხუანდე რამოსს სევილიაში ბევრი მეგობარი არ დაუტოვებია. „სანჩეს პისხუანზე" ხუანდეს სახელის გაგონებაზე ნერვულად აჟრჟოლებთ, ახლა კი ირკვევა, რომ „სევილიას" ოდინდელი მწვრთნელის მაგინებელთა სიას მისი ყოფილი აგენტი ალვარო ტორესიც შემატებია.

ბატონი ტორესი „ონდა სეროს" ეწვია სამასლაათოდ და „სევილიაზე" და „ტოტენჰემის" ამჟამინდელ დამრეგებელთან მუშაობის პერიოდზე ილაპარაკა. აგენტმა განაცხადა, რომ ხუანდესთან ბოლოს რომ ისაუბრა, იგი ჯერ კიდევ „სანჩეს პისხუანზე" თავკაცობდა და მას შემდეგ ერთმანეთთან არავითარი კონტაქტი არ ჰქონიათ.

„ზუსტად ისე მომექცა ხუანდე რამოსი, როგორც ინჩადას და პრესის წარმომადგენლებს — ინგლისისკენ ისე გაუტია, „სევილიას" მიტოვების მიზეზი ადამიანიშვილისთვის არ უთქვამს. იგი კარგი მწვრთნელია, მაგრამ ამავდროულად ცუდი პიროვნება და როცა შევხვდებით, ამას პირდაპირ ვეტყვი" — აღნიშნა ალვარო ტორესმა „ონდა სეროსთან".

რამოსის ექსაგენტი უსაფუძლოდ როდია გაბრაზებული. ის და ხუანდე მავანი ვიდეოთამაშის პრეზენტაციაზე მადრიდში ერთად ჩასულან და თურმე გზაზე მწვრთნელი ალვაროს თავგამოდებით უმტკიცებდა, „ტოტენჰემის" და ჩემი, ვითომდა, გარიგების ამბავი ბინძური ჭორია და „სევილიას" გარდა ამ ეტაპზე არც ერთ სხვა კლუბთან თანამშრომლობას არ ვაპირებო. მოკლედ, ესპანეთის სატახტოს ამ სიამტკიცლობაში მიაშურეს, იქ კი გაიძვერა რამოსმა, როგორც კი ალვარო ტორესი საკმო მანძილზე დაიგულა, დაჰკრა ფეხი და ისევ აეროპორტისკენ გაეშურა, რათა წინასწარ დაჯავშნული რეისით ლონდონს ჩაფრენილიყო და „ტოტენჰემთან" ხელშეკრულება გაეფორმებინა! „აღარ ინება ხუანდე რამოსმა ჩემთან საუბარი. ლონდონში ჩასულს ალვარო ტორესის ტელეფონის ნომერიც „დაავიწყდა" და, როგორც მერე მითხრეს, დანარჩენი სევილიელებიც... მასთან კონტაქტზე აღარ გავალ, ამას ჩემი ადვოკატები გააკეთებენ, რომელთაც ვთხოვე, ყალთაბანდობის დეტალები გაარკვიონ და იურიდიულ ასპექტში განიხილონ" — ამბობს ალვარო.

ისე კი, მწვრთნელმა რომ ანდალუზიურ კლუბზე გული აიცრუა, სენიორ აგენტს ადრეც სცოდნია და ეს ინტერვიუშიც აღიარა: „ვატყობდი, ხუანდეს წასვლა რომ უნდოდა, თუმცა ნამდვილად არ მეგონა, ასე თუ გაიქცეოდა... ერთხელ „სევილიაზე" ვსაუბრობდით და მაშინ მითხრა, მალე „სანჩეს პისხუანზე" კრიზისი დაიწყება, „სევილია" ესპანეთსა და ევროპაში დიდ წარმატებებს ვერასდროს მიაღწევს და მინდა, ამ დროს შორს ვიყო".

ხუანდე რამოსი
და მარტინ იოლი

ლადო ხოფერიძე

ბარსელონამ დიდიე ჩაიფიქრა

დიდიე დროგბა „ბარსელონას" სატრანსფერო სამიზნეზეა. აფრიკელი ფორვარდის წარმომადგენელმა ეტიენ მენდიმ მედიასთან აღნიშნა, რომ „რეალისა" და მიუნხენის „ბაიერნის" გარდა, დიდიეს ხელში ჩასჩაგდებად, შესაძლოა, კატალონიურმა გრანდმაც იბრძოლს.

„დროგბას თაობაზე რამდენიმე დიდევროპული კლუბი დაგვიკავშირდა და სავარაუდო ტრანსფერის შესახებ გვკითხეს" — განაცხადა „დეილი მირორთან" ეტიენ მენდიმ.

ეს არც ისეთი ახალი ამბავია, მაგრამ მაინც ვთქვათ, რომ ჟოზე მაურინიუს „ჩელსიდან" წასვლის შემდეგ „სტემფორდ ბრიჯი" დიდიე დროგბასთვის საპყრობილედ გადაიქცა. „ჟოზეს „ჩელსიდან" დათხოვნა დიდიესთვის მძიმე დარტყმა იყო" — თქვა აგენტმა „მირორთან".

ამასთან, „ჩელსიმ" ნიკოლა ანელკა იყიდა, რამაც დიდიე დროგბას სიტუაცია არ გაუმჯობესა. რას ამბობს თავად კოტდივუარელი? „დიდი სიამოვნებით ვითამაშებდი სამუელ ეტოოსა და იაია ტურეს გვერდით" — აცხადებს დროგბა.

ლადო ხოფერიძე

ურჟინა

შინაარსლილობა მეთოფეთა შორის

„არსენალის“ ვარსკვლავმა ემანუელ ადებაიორმა თანაგუნდელ ნიკლას ბენდტნერს თავი ჰკრა. ჰოდა, რაღაა გასაკვირი, ერთ გუნდში ასეთი რაღაც რომ მოხდა, „კარლინგის თასის“ ფინალში მეორე, ხუანდე რამოსის „ტოტენჰემ ჰოთსპური“ გავიდა.

სხვათაშორის, სტატისტიკა მეტყველებს, რომ „სფურზმა“ „არსენალს“ ბოლო 22 დაპირისპირებიდან პირველად მოუგო.

მაგრამ, დავანებოთ თავი ორი ლონდონური გუნდის თამაშის დეტალებს და თანაგუნდელის მიერ თანაგუნდელის რქენაზე ვთქვათ: მოძიძგილავენი კაპიტანმა ვილიამ გალასმა დააშორიშორა, მაგრამ ბენდტნერის წარბებს შორის „ნარქენს“ აბა, რას მოუხერხებდა.

მატჩის შემდეგ „მეთოფეთა“ მწვრთნელმა არსენ ვენგერმა თქვა, არაფერი მინახავს და, შესაბამისად, რაზე მელაპარაკებით, წარმოდგენა არ მაქვსო, მაგრამ გალასმა ასე ბრძანა:

„ორივემ კარგად იცის, რომ შეცდნენ, მაგრამ რატომ ჩაიდინეს ის, რაც ჩაიდინეს, მაინც ასახსნელი ექნებათ. პირადად მე, ზუსტად რა მოხდა, არ ვიცი, მაგრამ ვფიქრობ, მიზეზი ანგარიში გახლდათ. ეს წაგება თითოეული ჩვენგანისთვის ძალიან ძნელი გადასატანი იყო. ადებაიორიცა და ბენდტნერიც ახალგაზრდები და ემოციურები არიან. მათ საკუთარი თავის მოთოკვა ვერ შეძლეს“.

საინტერესოა, როგორ მოიქცა ამ დროს მსაჯი ჰოვარდ ვები: ის მოჩხუბრებთან მივიდა, დაელაპარაკა, მაგრამ არც ერთი დაუსჯია და არც მეორე. თუმცა, ერთია მსაჯი და ინგლისის ფეხბურთის ასოციაცია — მეორე.

არ არის გამორიცხული, ქვეყნის საფეხბურთო დისციპლინის მეთვალყურეებმა ყველაფერი დაწვრილებით გამოიძიონ და ერთმანეთზე გაწიწმატებულ თანაგუნდელებს ჯარიმები ან დისკვალიფიკაცია ააკრან.

ამ ეპიზოდის შემყურეთ, ინგლისელმა ჟურნალისტებმა გაიხსენეს 1995 წლის ამბავი, რომელიც „ბლექბერნ როვერსის“ მოთამაშეებს გრემ ლე სოსა და დევიდ ბეტის მოსკოვში შეემთხვათ. ინგლისელი თანაგუნდელები მაშინაც ერთმანეთს წაეკიდნენ.

ხოლო ფინალში გასული „ტოტენჰემ ჰოთსპური“, ბუნებრივია, სიხარულით მეცხრე ცაზეა. განსაკუთრებით გახარებული, რაა გასაკვირი, მისი ესპანელი მწვრთნელი ხუანდე რამოსი იქნება, რადგან ის „უაით ჰართ ლეინზე“ უკვე სეზონის მიმდინარეობისას, ოქტომბერში მივიდა — ალბათ გახსოვთ, მარტინ იოლის თანამდებობიდან გაშვებისა და მისი მიყვანის საკმაოდ მტკივნეული და რთული ამბავი.

რამოსი: „ინგლისში ჩამოსვლიდან ასე ცოტა ხანში ფინალში გასვლა ფანტასტიკური შედეგია. საოცრად გახარებულნი არიან ფანებიც, მათ ხომ „ტოტენჰემი“ დიდი ხანია ფინალში არ ჰყოლიათ. ხოლო ის ფაქტი, რომ ჩვენ ფინალში არც მეტი, არც ნაკლები, „არსენალის“ ძლევის შედეგად მოვხვდით, სიხარულს ერთიორად გვიძლიერებს. ჯერ ერთი, ეს იყო განთქმული ლონდონური დერბი, მეორეც, „არსენალი“ ევროპის ერთ-ერთი უძლიერესი გუნდია და მესამეც, სტატისტიკა გვეუბნება, რომ ჩვენ ეს გუნდი მეტისმეტად დიდი ხანია არ დაგვიმარცხებია“.

და რა თქვა ყოველივე ამის პასუხად ვენგერმა?

„ანგარიში, რასაკვირველია, სამწუხარო გამოვიდა, მაგრამ ის ნამდვილად არ ასახავს იმას, რაც მე მოედანზე ვნახე. თანაც მოდი, ვიყოთ გულწრფელები: „კარლინგის თასი“ ყველაზე მნიშვნელოვანი შეჯიბრება ნამდვილად არ არის“.

პაპუნა კედია

17 ანიჭალია



„ლივერპულის“ ვაისა და ვიშს, არგენტინელი ხავიერ მასკერანო ახლის დამატებას უპირებს — ზაფხული რომ მოვა, იტალიაში ფიქრობს გადაბარგებას. დიახ, ნახევარმცველი, რომელიც მერსისაიდელებმა წინა სეზონში „ვესტ ჰემიდან“ გადმოიყვანეს, „მილანსა“ და „იუვენტუსს“ ჰქონიათ სამიზნეში ამოღებული. რა საკვირველია, „ლივერპულის“ ესპანელ თავკაცს რაფაელ ბენიტესს კარგად ესმის გუნდისთვის მასკერანოს მნიშვნელობა და ფეხბურთელთან გრძელვადიანი კონტრაქტის გაფორმებაზე ოცნებობს, თუმცა, საამისოდ არგენტინელის პატრონ ორგანიზაციას, „მედია სპორტს ინვესტმენტს“ 17 მილიონი გირვანქა უნდა გადაუხადოს, რასაც ვერ ახერხებს — მოგეხსენებათ, „ლივერპულის“ ამერიკელ მფლობელებს, ტომ ჰიკსსა და ჯონ ჯილეტს სატრანსფერო თანხების გაღება არ სურთ. არადა, ეს 17 მილიონი სულაც არ არის ერთბაშად გადასახდელი და მეტიც, პირველი შესატანი, შესაძლოა, მხოლოდ და მხოლოდ თანხის მეოთხედი იყოს.

მასკერანოს აგენტი ვალტერ ტამერი: „ვინაიდან ლივერპულელებს ხავიერის საბოლოოდ შეძენის ოფიციალური სურვილი არ გამოუთქვამთ, ჩემი კლიენტი სეზონის ბოლოს იტალიაში გადავა“.

და, როგორია საკუთრივ არგენტინელის მისწრაფება? თუ მისი მრავალჯერადი განხადებების მიხედვით ვიმსჯელებთ, მასკერანოს ინგლისში დარჩენა სურს ძალიან, მაგრამ ხელ-ფეხ შეკრულია.

პაპუნა კედია

მიატოვიჩმა განზრახვა მიატოვა

კრიშტიანუ რონალდუსა და სესკ ფაბრეგასის შეძენა შეუძლებელიაო, აღიარა მადრიდის „რეალმა“. არადა, საქვეყნოდ ცნობილი ფაქტია, რომ ესპანური გოლიათი პრემიერლიგის ამ წყვილს დიდი ხანია ეთაყვანება და მის თავისიანად ხილვას ოცნებობს.

მაგრამ, როგორც ჩანს, ამ ეტაპზე ოცნება ოცნებად დარჩება, რადგან თავად „სამეფო კლუბის“ სპორტულმა დირექტორმა პრედრაგ მიატოვიჩმა განაცხადა, რომ ჯერჯერობით განზრახვაზე ხელის აღება უწევს.

„კრიშტიანუ რონალდუ „მანჩესტერ იუნაიტედშია“, „მანჩესტერ იუნაიტედი“ კი დიდი კლუბია. ერთი სიტყვით, მისი გადაბირება შეუძლებლად მიმაჩნია. გარდა ამისა, სიამოვნებით ვიყოლიებდით ისეთ მოვამაშეს, როგორიც გახლავთ სესკი, მაგრამ ვაი, რომ ისიც ძალიან დიდ კლუბში, „არსენალში“ თამაშობს, ხოლო „არსენალიდან“ ვარსკვლავის ყიდვა ძალიან დიდ სირთულეებთან არის დაკავშირებული. ასე და ამგვარად, ჩემთვის ცხადზე უცხადესია, რომ დღეს ამ ორი მოთამაშის შესაძენად ნაბიჯების გადადგმა დროის ფუჭი კარგვაა, ხოლო დროის ფუჭ კარგვას არ ვაპირებ“.

ამასობაში კი „მანჩესტერ იუნაიტედის“ მწვრთნელმა ალექს ფერგიუსონმა კვლავ ჩამოაგდო სიტყვა მიმდინარე სეზონში რონალდუს 30 გოლზე.

„რონალდუმ 23 გოლი უკვე გაიტანა და, შესაბამისად, 30-ის გატანაც შეუძლია — თქვა სერ ალექსმა — ვფიქრობ, ეს ორი რიცხვი ერთმანეთისგან არც ისე შორს არის და კრიშტიანუსაც საამისო ძალა შესწევს, მაგრამ გულწრფელად გეტყვით, რომ მაინც არ მგონია, ეს მოახერხოს. თუ შეძლო, დაპირებულზე მეტს გადავუხდი“.

პაპუნა კედია



რამდენიმე დღეა დარჩა

მოუსვენარმა მალელმა ნახევარმცველმა მოჰამედ სისოკომ განაცხადა, რომ დღე, როდესაც ის „ლივერპულიდან“ „იუვენტუსში“ გადავა, შორს არ არის. აი, რა უთხრა ფეხბურთელმა ცნობილ მილანურ გაზეთ „გაძეტა დელო სპორტს“:

„ყველაფერი რამდენიმე დღის ამბავიღაა. საბოლოო პასუხი სამ, მაქსიმუმ ოთხ დღეში გაირკვევა და მინდა გითხრათ, რომ „იუვენტუსში“ გადასვლით უბედნიერესი ადამიანი გავხდები. ბავშვობიდან ამ გუნდის გულშემატკივარი ვარ. პატარაობაში ზინედინ ზიდანის ფანატიკოსი ვიყავი, ხოლო ზიდანის ფანი, ბუნებრივია, „იუვეს“ ფანადაც ჩამოვყალიბდი.

პაპუნა კედია



ანჩელოტი საუკეთესოა

საერთო ჩათვლაში ფერგიუსონი ლიდერობს

ფეხბურთის ისტორიისა და სტატისტიკის საერთაშორისო ფედერაციის ვერსიით, 2007 წლის საუკეთესო საკლუბო მწვრთნელი კარლო ანჩელოტია. შეგახსენებთ, რომ 48 წლის სპეციალისტმა შარშან „მილანს" ჩემპიონათა ლიგა, ევროპის სუპერთასი და მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატი მოაგებინა.

89 სხვადასხვა ქვეყნის ექსპერტიდან 38-მა ანჩელოტი პირველ ადგილზე დაასახელა. „როსონერის" თავკაცს ქულებით საგრძნობლად ჩამორჩა მეორეადგილოსანი სერ ალექს ფერგიუსონი. მესამეზე ხუანდე რამოსი გავიდა, მეოთხეზე — არსენ ვენგერი, ხოლო საუკეთესოთა ხუთეული ჟოზე მაურინიუმ დაავვირგვინა.

2007 წლის 24 საუკეთესო მწვრთნელს შორის 12 სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენელია. აქედან ოთხ-ოთხი იტალიელი და არგენტინელია, ესპანელი და გერმანელი — სამ-სამი, ხოლო ფრანგი და ბრაზილიელი — ორ-ორი. ოთხ-ოთხი მწვრთნელი ინგლისისა და ესპანეთის ჩემპიონატში მუშაობს, სამი — იტალიისა და არგენტინისაში, ორი კი გერმანიის ბუნდესლიგაში.

გიორგი ძაძაბაძე



ფეხბურთის ისტორიისა და სტატისტიკის საერთაშორისო ფედერაციის ყველა გამოკითხვის ჯამური ცხრილის მოწინავე 11 მწვრთნელის სიაა:

მწვრთნელი	ქვეყანა	ქულა
1. ალექს ფერგიუსონი	შოტლანდია	68
2. არსენ ვენგერი	საფრანგეთი	46
3. ჟოზე მაურინიუ	პორტუგალია	40
3. მარჩელო ლიპი	იტალია	40
5. ოტმარ ჰიცფელდი	გერმანია	39
6. კარლოს ბიანკი	არგენტინა	33
7. ფრანკ რაიკარდი	ჰოლანდია	29
8. კარლო ანჩელოტი	იტალია	28
9. რაფაელ ბენიტესი	ესპანეთი	25
10. ვისენტე დელ ბოსკე	ესპანეთი	23
10. ექტორ რაულ კუპერი	არგენტინა	23

ისტორიისა და სტატისტიკის საერთაშორისო ფედერაციის ვერსიით 2007 წლის საუკეთესო საკლუბო მწვრთნელები:

მწვრთნელი	კლუბი	ქვეყანა	ქულა
1. კარლოს ანჩელოტი	მილანი	იტალია	193
2. ალექს ფერგიუსონი	მანჩესტერი	შოტლანდია	134
3. ხუანდე რამოსი	სევილია	ესპანეთი	104
4. არსენ ვენგერი	არსენალი	საფრანგეთი	98
5. ჟოზე მაურინიუ	ჩელსი	პორტუგალია	51
6. რაფაელ ბენიტესი	ლივერპული	ესპანეთი	48
7. ფრანკ რაიკარდი	ბარსელონა	ჰოლანდია	44
8. რობერტო მანჩინი	ინტერი	იტალია	40
9. მიგელ ანხელ რუსო	ბოკა ხუნიორსი	არგენტინა	23
10. გუსტავო ალფარო	არსენალ სარანდი	არგენტინა	14
11. კლაუდიო ბორხი	კოლო კოლო	არგენტინა	12
11. ფაბიო კაპელო	რეალი	იტალია	12
11. თომას შაფი	ვერდერი	გერმანია	12
14. მურის რამალიო	სან პაულუ	ბრაზილია	11
14. ლუჩანო სპალეტი	რომა	იტალია	11
16. ბერტრან მარშანი	ეტუალ სპორტივო	საფრანგეთი	8
16. ჰოლგერ ოხიეკი	ურავა რედსი	გერმანია	8
18. რამონ კაბრერო	ლანუსი	არგენტინა	7
18. ერნესტო ვალვერდე	ესპანიოლი	ესპანეთი	7
18. ზიკო	ფენერბაჰჩე	ბრაზილია	7
21. პანაიოტის გლამონისი	ოლიმპიაკოსი	საბერძნეთი	6
22. ოტმარ ჰიცფელდი	ბაიერნი	გერმანია	5
22. მირჩა ლუჩესკუ	შახტარი	რუმინეთი	5
22. ენრიკე მესა	პაჩუკა	მექსიკა	5

აქვე გთავაზობთ 1996-2007 წლების ყველა ლაურეატს:

წელი	მწვრთნელი	კლუბი	ქვეყანა
1996	მარჩელო ლიპი	იუვენტუსი	იტალია
1997	ოტმარ ჰიცფელდი	დორტმუნდი	გერმანია
1998	მარჩელო ლიპი	იუვენტუსი	იტალია
1999	ალექს ფერგიუსონი	მანჩესტერი	შოტლანდია
2000	კარლოს ბიანკი	ბოკა ხუნიორსი	არგენტინა
2001	ოტმარ ჰიცფელდი	ბაიერნი	გერმანია
2002	ვისენტე დელ ბოსკე	რეალი	ესპანეთი
2003	კარლოს ბიანკი	ბოკა ხუნიორსი	არგენტინა
2004	ჟოზე მაურინიუ	ჩელსი	პორტუგალია
2005	ჟოზე მაურინიუ	ჩელსი	პორტუგალია
2006	ფრანკ რაიკარდი	ბარსელონა	ჰოლანდია
2007	კარლო ანჩელოტი	მილანი	იტალია

მუნუამ ციხე მოიგერია

„დეპორტივოს" ურუგვაელ მეკარეს გუსტავო მუნუას ექვსთვიანი პატიმრობა ემუქრებოდა, მაგრამ გადარჩა და 3 600 ევროში „გამოძვრა". მუნუამ ორი კვირის წინ კოლეგა დუდუ აუატეს თვალში მუშტი აჯახა და სასამართლოში სასიარულოდ გაიხადა საქმე. რაკი ურუგვაელი ხულიგნობაში მანამდე შემჩნეული არ იყო, მართლმსაჯულებამ დაზარალებულის სასარგებლოდ მხოლოდ ფულის გადახდა მიუსაჯა.

ტამუდოს გაჭრიან

ესპანეთის ნაკრებისა და „ესპანიოლის" ფორვარდი რაულ ტამუდო საოპერაციოა, რადგან ოთხშაბათს ვარჯიშზე ხელი მოიტეხა. ამის შესახებ კლუბმა ოფიციალურად განაცხადა. „ესპანიოლის" ექიმის განცხადებით, ტამუდო, ვინც სეზონში ათი გოლი გაიტანა, გუნდს დაახლოებით ორი თვით დააკლდება. ფორვარდის გარდა ბარსელონელებს მეკარე ინიაკი ლაფუენტეც დაუშავდათ და თვენახევრის შემდეგ დაუბრუნდებათ.

ფორტინი გაწყვიტეს

„კალიარის" მეკარეს მარკო ფორტინს კონტრაქტი გაუწყვიტეს და იძულებული გახადეს, წასულიყო. გოლკიპერი სარდინიულ კლუბში 2006 წელს „სიენადან" გადავიდა, 12 მატჩი ითამაშა და ოცი გოლი გაუშვა. ფორტინს ხელშეკრულება ივნისში ეწურებოდა, მაგრამ „კალიარიმ" დასრულება არ აცალა.

ნანტელი ფატი

ფრანგი ნახევარმცველი რიკარდო ფატი „რომამ" საფრანგეთის მეორე დივიზიონის „ნანტს" სეზონის ბოლომდე ათხოვა. რომაულმა კლუბმა ფეხბურთელი 2006-ის ზაფხულში იყიდა, მას შემდეგ, რაც ფატიმ „სტრასბურის" შემადგენლობაში „რომას" წინააღმდეგ საუცხოოდ ითამაშა უეფას თასზე. „ნანტი" ამჟამად პირველ ადგილზეა და პირველ დივიზიონში გადასასვლელად იბრძვის.

სკალონი ესპანეთში დაბრუნდება

იტალიური მედიის ცნობით, „ლაციოს" არგენტინელი მცველი ლიონელ სკალონი „მალიორკაში" გადადის. მას კარიერის უმეტესი ნაწილი ესპანეთში გაუტარებია და სერია A-ს ვერ მოერგო, სადაც ძირითად შემადგენლობაში 7 მატჩი ითამაშა. სკალონის შარშან ზაფხულს „რასინგთან" კონტრაქტი დაუსრულდა და „ლაციომ" ხელში მუქთად ჩაიგდო. „მალიორკა" არგენტინელში 500 ათას გირვანქას იხდის.

გაჟა ხუციშვილი

ბალაკმა თქვა იტალია

გერმანიის ნაკრების კაპიტანმა და ლონდონის „ჩელსის" ნახევარმცველმა მიხაელ ბალაკმა განაცხადა, რომ 2008 წლის ევროპის ჩემპიონატის მთავარი ფავორიტი იტალია იქნება.

„რასაკვირველია, ევრო 2008-ს მთავარი ფავორიტი იტალია იქნება, „სკუადრა აძურა" მსოფლიოს ჩემპიონია. ასევე სერიოზულად უნდა განვიხილოთ საფრანგეთი, ესპანეთი და პორტუგალია. რაც შეგვეხება ჩვენ, ჯერ კიდევ არ ვართ ამ წამყვან ქვეყნებსა და ფავორიტებს შორის" — განაცხადა ბალაკმა.

შეგახსენებთ, რომ გერმანია B ჯგუფშია ავსტრიასთან, ხორვატიასა და პოლონეთთან ერთად. ხოლო იტალია ეგრეთ წოდებულ „სიკვდილის" ჯგუფშია საფრანგეთთან, ჰოლანდიასა და რუმინეთთან.

ძოძი ძანდელაძი

ფული და ფულმი არ მინდა!

ხორვატიის ნაკრების მწვრთნელი სლავენ ბილიჩი პრემიერლიგის რომელიმე კლუბში სამუშაოდ გადასვლას არ აპირებს, მიუხედავად იმისა, რომ არაერთი წინადადება მიიღო.

„ფული რომ მინდოდეს, უმალ დავთანხმდებოდი. მაგალითად, „ფულემის" პატრონის მოჰამედ ალ ფაიედის შემოთავაზებას — თქვა ბალიჩმა — ლონდონში პირად საქმეებზე არაერთხელ ვყოფილვარ და სულაც არ მეზარება იმის ახსნა, რისთვის ვიყავი უცხოეთში.

ხორვატიის ნაკრების თავკაცმა მედიას აუხსნა, რომ ინგლისში ედუარდო და სილვას („არსენალი"), ნიკო კრანჩარის („პორტსმუთის") და ვინსენტ ჩორლუკას („სიტი") სანახავად ჩაბრძანდა, რადგან მის გუნდს 6 თებერვალს ჰოლანდიასთან სპლიტში ამხანაგური მატჩი ელის. „ხორვატიის ფეხბურთის ფედერაციასთან ძალიან კარგი ურთიერთობა მაქვს და სისულელეა იმაზე საუბარი, რომ ხელფასით უკმაყოფილო ვარ" — ბრძანა ბილიჩმა.

შეგახსენებთ, რომ ხორვატიამ ევრო 2008-ის შესარჩევის ბოლო ტურში ინგლისს სტუმრად 3:2 მოუგო და ჯგუფში ჩატოვა.

ვაჟა ხუციშვილი

სარაგოსამ მხსნელად ირურეტას უხმო



„სარაგოსაში“ 8 დღის განმავლობაში მეორე სამწვრთნელო ცვლილება მოხდა. მას შემდეგ, რაც კლუბის თავკაცებმა ვიქტორ ფერნანდესი დაითხოვეს და მისი შემცვლელი ანდერ გარიტანოც მოულონდელად გადადგა, არაგონელთა მწვრთნელობა თავის თავზე სახელგანთქმულმა ბასკმა ხავიერ ირურეტამ აიღო. 59 წლის „ხაბომ“ „სარაგოსასთან“ ჯერჯერობით მოკლევადიანი კონტრაქტი გააფორმა — „ლა რომარედაზე“ მიმდინარე სეზონის ბოლომდე დარჩება.

ირურეტა „სარაგოსას“ სავარაუდო მწვრთნელმა სიას ლიდერობდა, რომელიც არაგონელთა თავგზააბნეულმა თავკაცებმა, მიგელ პარდესამ და პედრო ერერამ შეადგინეს, როცა ანდერ გარიტანომ დამრიგებლობაზე უცებ ჯიქური უარი თქვა და კლუბი უპატრონოდ დაადგა. იყო ლაპარაკი ვისენტე დელ ბოსკესა და ხავიერ კლემენტეზე, თუმცა მადრიდელმა ულვაშამ „სარაგოსას“ ნაკრების მიზეზით უთხრა უარი (ესპანეთის ფეხბურთის ფედერაცია ერთვნული გუნდის სათავეში ლუის არაგონესის ჩანაცვლებას დელ ბოსკეთი აპირებს), კლემენტე კი თავიდანვე სამარქაფო ვარიანტად ითვლებოდა — მას მაშინ დაუკავშირდებოდნენ, თუ ირურეტასთან ვერ მიაღწევდნენ მოლაპარაკებას.

დაინტერესებულ მხარეებს შეთანხმების მიღწევა გაუჯანჯლდათ, თუმცა ბოლოს „ხაბოს“ აგენტმა ინიაკი იბანიესმა დოკუმენტებს ხელი მოაწერა და ირურეტაც 2008 წლის 30 ივნისამდე დაკანონდა „ლა რომარედაზე“. ბასკს თანაშემწედ პაკო მელო მოჰყვა — მათ „ატლეტიკოში“ წლების წინ ერთად უთამაშიათ.

„ხავიერ ირურეტა უმაღლესი დონის მწვრთნელია, დიდი გამოცდილებისა და შესანიშნავი ჯილდოების მქონე“ — თავკაცის პრეზენტაციაზე მედიასთან განაცხადა ერთერთმა სარაგოსელმა სპორტულმა დიდმოხელემ.

წარსული დროების „დეპორტივოს“ გამარჯვებათა სულისჩამდგმელი საკმაოდ რთულ დროს მოდის „სარაგოსაში“. მართალია, კლუბმა ამას წინათ „მურსია“ ააყირავა, მაგრამ მწვრთნელების ცხვირსახოცებივით ცვლამ და ფეხბურთელების უხასიათობამ (ანდრეს დალესანდრომ მუშტების ტრიალით ისე გაიფუჭა საქმე, რომ დღე-დღეზე გააძევებენ „ლა რომარედადან“) გულშემატკივრებს გვარიანად აუწეწა ნервები.

პირველა არ ხდება „სარაგოსას“ 76-წლიან ისტორიაში, რომ კლუბმა ერთ სეზონში სამი მწვრთნელი მიიწვია. 1996-97-ის სეზონში „ლა რომარედაზე“ ერთმანეთი ვიქტორ ფერნანდესმა, ესპარაგომ და ლუის კოსტამ შეცვალეს, 2001-2002 წლებში კი — ჩეჩუ როხომ, ლუის კოსტამ და მარკოს ალონსომ.

ლადო ხოფერიძე

კუმანმა განკიცხულს ჩივილიც აუკრძალა



რონალდ კუმანის მიერ „ვალენსიადან“ გარიცხული დავიდ ალბელდა და სანტიაგო კანისარესი პრესასთან ალაპარაკდნენ და „მესტალიას“ დატოვება დაიჩივლეს. „ღამურათა“ მწვრთნელმა კი ყოფილ შეგირდთა მედიასთან გულახდილობა დაიწუნა და აღნიშნა, რომ ალბელდამ ცუდი დრო შეარჩია „ვალენსიაზე“ შეტევის მისატანად. „ისინი სამი კვირის განმავლობაში დუმდნენ, რადგანაც ამ დროს გუნდს საქმეები მეტ-ნაკლებად კარგად მისდიოდა. ახლა კი „შესაფერისი დრო“ შეარჩიეს, რათა თავიანთი საჩივარი საქვეყნოდ გამოიტანონ“ — თქვა ჰოლანდიელმა მწვრთნელმა.

კუმანის აზრით, დავიდ ალბელდას მხრიდან პრესასთან „ვალენსიას“ შიდა სამხ[illegible]ეულოზე საუბარი არასწორია, რადგანაც ფეხბურთელი მედიასთან მაშინ ალაპარაკდა, „ღამურებმა“ „მადრიგალზე“ „ვილიარეალთან“ 0:3 რომ წააგეს. კითხვაზე, არსებობს თუ არა ალბელდას კლუბში დაბრუნების შანსი, ჰოლანდიელმა ბრაზიანად მიუგო: „მოდით, გულისგამაწყალებელ თემებზე ლაპარაკს შევეშვათ. მორჩა და გათავდა, ალბელდას გუნდში დაბრუნებაზე რაც უნდა მკითხოთ, პასუხად მხოლოდ დუმილს მიიღებთ“.

დღეს „ვალენსიას“ და ალბელდას ადვოკატები ერთმანეთს შეხვდებიან და სადავო საკითხებზე მოილაპარაკებენ. „რაც ადრე გადაწყვეტენ ამ საქმეს, მით უკეთესი. ამ გაუგებრობის გაქარწყლება კლუბისთვისაც კარგია, მწვრთნელისთვისაც და, ცხადია, თავად ფეხბურთელისთვისაც“ — განაცხადა რონალდ კუმანმა.

ლადო ხოფერიძე

მგელმა ბენალიო იპოვა

პორტუგალიური „ნასიონალის“ მეკარე დიეგო ბენალიო „ვოლფსბურგში“ გადავიდა და ოთხწლიანი კონტრაქტი გააფორმა. 24 წლის შვეიცარიელი, რომელსაც ექვსჯერ უთამაშია, სიმონ იენცშის ადგილს დაიკავებს. „ვოლფსბურგის“ მწვრთნელმა ფელიქს მაგათმა ერთი კვირის წინ იენცში გუნდიდან გაუშვა, რადგან მისი გარჯით უკმაყოფილო იყო. ბენალიოს 2002-2005 წლებში „შტუტგარტში“ უთამაშია, როცა ამ კლუბს ფელიქს მაგათი თავკაცობდა.

ჟო გაღამურდება

„მარკას“ ცნობით, ცსკა-ს ბრაზილიელი ფორვარდი ჟო „ვალენსიაში“ გადადის. „ღამურები“ მოსკოვურ კლუბს დაახლოებით 18 მილიონ ევროს გადაუხდიან. ესპანელები უკვე შეუთანხმდნენ ჟოს აგენტს და ფეხბურთელი ვალენსიაში 31 იანვრამდე ჩავა. ბრაზილიელი ცსკა-მ ორი წლის წინ „კორიანთინსიდან“ 7 მილიონ ევროდ იყიდა.

ვალერონი გამოჩნდა

ორწლიანი უქმობის შემდეგ „დეპორტივოს“ ნახევარმცველს ხუან კარლოს ვალერონს თამაშის ნება მისცეს. 32 წლის ფეხბურთელს პირველი ოპერაცია მუხლზე 2006-ის იანვარში გაუკეთეს. ის იმავე წლის ზაფხულში გამოკეთდა. მაგრამ სეზონისწინა ამხანაგურ მატჩში მყესი ისევ გაუწყდა. მეორე ოპერაციის შემდეგ 2007-ის იანვარში დაბრუნდა, მაგრამ ტკივილმა შეაწუხა და შარშან მარტში ქირურგმა მესამედ „გაჭრა“.

ვერდერიდან ფულემში

ბრემენის „ვერდერის“ დანიელი ნახევარმცველი ლეონ ანდრეასენი „ფულემში“ გადავიდა. 24 წლის ფეხბურთელმა ლონდონურ კლუბთან სამწელიწადნახევრიანი ხელშეკრულება გააფორმა. გარდა ამისა, „ფულემმა“ „რეინჯერსთან“ უკვე შეათანხმა დანიელ კუზენის კონტრაქტი და გაბონელი ფორვარდიც პრემიერლიგელი გახდება. „ფულემი“ ელიტაში დასარჩენად იბრძვის და შემადგენლობის გაძლიერებას აგრძელებს. მათ უკვე იყიდეს ნორვეგიელი მცველი ბრედე ჰანგენლანდი.

აიაქსმა სილვა ნახა

„აიაქსმა“ „გრონინგენიდან“ ურუგვაელი მცველი ბრუნო სილვა იყიდა. „გრონინგენმა“ თავის მხრივ როტერდამის „სპარტადან“ სეპ დე როოვერი გადაიყვანა. ურუგვაელის სანაცვლოდ ამსტერდამელებმა 3 მილიონ 750 ათასი ევრო გადაიხადეს. „აიაქსში“ სილვას მეორე ურუგვაელი ლუის სუარესი დახვდა. ბრუნო სილვა „გრონინგენმა“ 2005 წელს „დანუბიოდან“ შეიძინა.

ბერდსლი მანჩესტერელია

„მანჩესტერის“ მცველი ფილ ბერდსლი „სანდერლენდში“ გადავიდა. როი კინის გუნდმა 22 წლის ფეხბურთელში 2 მილიონი გირვანქა გადაიხადა. ბერდსლი „მანჩესტერის“ ძირითად შემადგენლობაში ვერ ხვდებოდა და „შეფილდ იუნაიტედში“ იყო განათხოვრებული. მან „სანდერლენდთან“ სამწელიწადნახევრიანი კონტრაქტი გააფორმა.

კვარეშმა ბედნიერია

„პორტუს“ ნახევარმცველმა რიკარდუ კვარეშმამ კლუბთან კონტრაქტი 2011 წლამდე გაახანგრძლივა. მისი ხელშეკრულება 2009-ში იწურებოდა, მაგრამ ფეხბურთელმა განაცხადა: „აქ ბედნიერი ვარ და ამიტომაც შევთანხმდით. „პორტუში“ ვითარება მომწონს და გუნდთან ერთად ჯილდოების მოგება მსურს“ — თქვა კვარეშმამ, რომელმაც ამ სეზონის 15 მატჩში 4 გოლი გაიტანა.

ზარჰიდი გრძელდება

უნგრეთის ფეხბურთის ფედერაციის საგანგებო სხდომაზე ნაკრების მწვრთნელს პეტერ ვარჰიდის კონტრაქტი ორი წლით გაუგრძელეს. „ვარჰიდი ერთადერთი კანდიდატი იყო, მას ვენდობით და ამიტომ დავტოვეთ. ნაკრებისთვის დირექტორს ვეძებთ და გვსურს, რომ უცხოელი დავნიშნოთ, რომელიც შემდგომში მწვრთნელი გახდება“ — თქვა ფედერაციის პრეზიდენტმა იშტვან კისტელეკმა.

მიშელმა ალუდი დაადასტურა

მაროკოს ნაკრების ფორვარდი სუფიანე ალუდი, რომელმაც ორშაბათს ნამიბიასთან ჰეთ თრიქი შეასრულა, გვინეასთან ვერ ითამაშებს. ეს ამბავი მაროკოელთა მწვრთნელმა ანრი მიშელმა დაადასტურა. 24 წლის ალუდიმ ნამიბიასთან სამი გოლი მიითვალა და ტრავმის გამო მეორე ტაიმში შეცვალეს. „ვიმედოვნებ, რომ ალუდი ჯგუფის მესამე მატჩისთვის გამოკეთდება“ — თქვა მიშელმა.

10 მილიონი

„მანჩესტერ სიტის“ ფორვარდი როლანდო ბიანკი „ტორინოში“ გადადიოდა, მაგრამ საბოლოოდ „ლაციოში“ აღმოჩნდა. რომაულმა კლუბმა 24 წლის თავდამსხმელს უკეთესი პირობები შესთავაზა და გადაიბირა. „ლაციო“ „სიტის“ დაახლოებით 10 მილიონ გირვანქას გადაუხდის. როლანდო ბიანკი მანჩესტერულ კლუბში შარშან ზაფხულს გადავიდა, მაგრამ ძირითად შემადგენლობაში ადგილი ვერ დაიმკვიდრა. იტალიელმა ფორვარდმა პრემიერლიგის 15 მატჩში ოთხი გოლი გაიტანა.

ვაჟა ხუციშვილი

სარბიელი და კროკო

წარმოგიდგენთ

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		ინგლისი. პრემიერლიგა						
		26 იანვარი						
19:00	528	ასტონ ვილა-ბლეკბერნი	1.85	3.30	3.80	1.18	1.24	1.76
		ინგლისი. ჩემპიონატი						
		26 იანვარი						
19:00	529	ბრისტოლი-ბლეკპული	1.65	3.40	4.70	1.11	1.22	1.97
19:00	530	ბარნლი-სკანთორპი	1.65	3.40	4.55	1.11	1.21	1.94
		28 იანვარი						
23:45	531	ლესტერი-კრისტალ პალასი	2.70	3.30	2.35	1.48	1.25	1.37
		ინგლისი. I ლიგა						
		25 იანვარი						
23:45	9	ჩელტენემი-კარლაილი	2.50	3.20	2.50	1.40	1.25	1.40
23:45	12	დონკასტერი-სუონსი	2.30	3.30	2.70	1.35	1.24	1.48
23:45	15	ნორთჰემპტონი-ლეიტონი	2.20	3.30	2.90	1.32	1.25	1.54
		26 იანვარი						
19:00	8	ტრანმერი-იოვილი	2.00	3.30	3.30	1.24	1.24	1.64
19:00	10	უოლსოლი-ჯილინგემი	1.70	3.50	4.40	1.14	1.22	1.94
19:00	11	ქრიუ-სუინდონი	2.20	3.30	2.90	1.32	1.25	1.54
19:00	14	ლუტონი-ლიდსი	4.20	3.40	1.75	1.87	1.23	1.15
19:00	18	პორტ ვეილი-ბორნმუთი	1.95	3.20	3.50	1.21	1.25	1.67
		ინგლისი. II ლიგა						
		26 იანვარი						
19:00	24	უიკომბი-ჩესტერფილდი	2.10	3.30	3.10	1.28	1.25	1.59
19:00	26	ჩესტერი-როტერჰემი	2.70	3.30	2.30	1.48	1.24	1.35
19:00	27	დარლინგტონი-მაკლსფილდი	1.45	3.60	6.50	1.03	1.18	2.31
19:00	28	გრიმსბი-შრიუსბერი	2.15	3.30	3.00	1.30	1.25	1.57
19:00	30	ლინკოლნი-დაგ ენდ რედი	1.90	3.30	3.60	1.20	1.24	1.72
19:00	31	დონსი-როჩდეილი	1.70	3.40	4.30	1.13	1.21	1.89
19:00	32	მორიკომბი-ნოტსი	1.65	3.50	4.50	1.12	1.20	1.96
		ინგლისი. კონფერენსი						
		24 იანვარი						
23:45	35	ფარსლი-სტივენეიჯი	5.30	3.60	1.60	2.14	1.22	1.10
		26 იანვარი						
19:00	36	იორკი-ალდერშოტი	2.90	3.30	2.20	1.54	1.25	1.32
19:00	37	დროილსდენი-კიდერმინსტერი	4.40	3.50	1.65	1.94	1.20	1.12
19:00	39	ოქსფორდი-გრეისი	2.15	3.20	3.10	1.28	1.26	1.57
19:00	40	კემბრიჯი-ალტრინჰემი	1.40	3.90	7.30	1.03	1.17	2.54
19:00	41	რაშდენი -ვეიმუთი	1.90	3.20	3.60	1.19	1.24	1.69
19:00	42	ებსფლითი-ბარტონი	2.40	3.20	2.60	1.37	1.24	1.43
19:00	43	ნორთვიჩი-ჰალიფაქსი	2.60	3.20	2.45	1.43	1.26	1.38
19:00	44	ფორესტ გრინი-ექსეტერი	2.10	3.20	3.10	1.26	1.25	1.57
19:00	45	უოკინგი-ქროული	2.40	3.20	2.60	1.37	1.24	1.43
		28 იანვარი						
23:45	38	ტორკი-ჰისტონი	1.60	3.35	5.00	1.08	1.21	2.00
		შოტლანდია. პრემიერლიგა						
		26 იანვარი						
19:00	46	მოზერუელი-ინვერნესი	1.80	3.30	4.00	1.16	1.24	1.80
19:00	47	რეინჯერსი-სტ.მირენი	1.15	6.00	13.00	1.00	1.05	4.10
19:00	49	აბერდინი-ჰართსი	1.80	3.20	4.30	1.15	1.26	1.83
19:00	52	ჰიბერნიანი-გრეტნა	1.45	3.60	6.70	1.03	1.19	2.34
19:00	53	კილმარნოკი-დანდი იუნაიტედი	2.65	3.30	2.30	1.46	1.23	1.35
		27 იანვარი						
18:00	50	ფოლკირკი-სელტიკი	6.50	4.00	1.40	2.47	1.15	1.03
		შოტლანდია. I დივიზიონი						
		26 იანვარი						
19:00	54	კლაიდი-ჰამილტონი	3.40	3.40	1.85	1.70	1.19	1.19
19:00	55	დანდი-ქუინი	1.55	3.70	4.70	1.09	1.16	2.07
19:00	56	დანფერმლაინი-მორტონი	1.60	3.70	4.40	1.11	1.17	2.00
19:00	57	პარტიკი-ლივინგსტონი	2.05	3.50	2.80	1.29	1.18	1.55
19:00	58	სტ.ჯონსტონი-სტირლინგი	1.35	4.30	7.00	1.02	1.13	2.66
		შოტლანდია. II დივიზიონი						
		26 იანვარი						
19:00	59	ალოა-ერდრი	2.70	3.50	2.15	1.52	1.19	1.33
19:00	60	ეარი-ქუინზ პარკი	2.20	3.50	2.60	1.35	1.19	1.49
19:00	61	ბრეჩინი-პიტერჰედი	2.20	3.50	2.60	1.35	1.19	1.49
19:00	62	კოუდენბითი-როსი	4.00	3.50	1.70	1.86	1.19	1.14
19:00	63	რეითი-ბერიკი	1.20	5.40	9.50	1.00	1.06	3.44
		შოტლანდია. III დივიზიონი						
		26 იანვარი						
19:00	64	ალბიონი-სტრანრარი	2.80	3.50	2.10	1.55	1.20	1.31
19:00	65	არბროთი-ისტ ფაიფი	4.70	3.70	1.55	2.07	1.16	1.09
19:00	66	ისტ სტირლინგი-დამბარტონი	2.15	3.50	2.70	1.33	1.19	1.52
19:00	67	ელგინი-მონტროუზი	4.00	3.40	1.70	1.83	1.19	1.13
19:00	68	ფორფარი-სტენჰაუზმური	3.50	3.40	1.85	1.72	1.21	1.19
		იტალია. სერია A						
		26 იანვარი						
23:30	108	რომა-პალერმო	1.45	3.70	7.50	1.04	1.21	2.47
21:00	111	სამპდორია-სიენა	1.60	3.30	6.00	1.07	1.26	2.12
		27 იანვარი						
18:00	100	ემპოლი-ფიორენტინა	3.65	2.90	2.10	1.61	1.33	1.21
18:00	101	მილანი-ჯენოა	1.30	4.50	10.00	1.00	1.15	3.10
18:00	102	უდინეზე-ინტერი	4.80	3.00	1.80	1.84	1.30	1.12
23:30	104	ლივორნო-იუვენტუსი	4.30	3.10	1.85	1.80	1.29	1.15
18:00	106	ტორინო-ლაციო	2.40	2.80	3.00	1.29	1.33	1.44
18:00	107	კალიარი-ნაპოლი	2.90	2.90	2.45	1.45	1.32	1.32
18:00	109	კატანია-პარმა	2.15	2.90	3.60	1.23	1.34	1.60
18:00	110	ატალანტა-რეჯინა	1.80	2.90	5.10	1.11	1.33	1.84
		იტალია. სერია B						
		26 იანვარი						
19:00	112	მესინა-ტრიესტინა	1.65	3.00	5.80	1.06	1.28	1.97
19:00	113	სპეცია-ალბინოლეფე	2.80	2.80	2.60	1.39	1.34	1.34
19:00	114	პიაჩენცა-ასკოლი	2.30	2.80	3.10	1.26	1.32	1.47
19:00	115	პიზა-ბარი	1.45	3.40	7.50	1.01	1.21	2.33
19:00	116	რიმინი-ბოლონია	2.70	2.70	2.70	1.35	1.35	1.35
19:00	117	ვიჩენცა-ბრეშა	3.10	2.80	2.30	1.47	1.32	1.26
19:00	118	კიევო-ჩეზენა	1.30	4.00	10.00	1.00	1.15	2.85
19:00	119	ლეჩე-ფროზინონე	1.45	3.40	7.50	1.01	1.21	2.33
19:00	120	გროსეტო-მოდენა	2.20	2.80	3.40	1.23	1.33	1.53
19:00	121	რავენა-მანტოვა	3.20	2.80	2.30	1.49	1.33	1.26
19:00	122	აველინო-ტრევიზო	2.10	2.80	3.60	1.20	1.32	1.57
		ესპანეთი. I დივიზიონი						
		26 იანვარი						
23:00	123	სევილია-ოსასუნა	1.50	3.60	6.50	1.05	1.21	2.31
23:45	124	ბილბაო-ბარსელონა	5.40	3.40	1.60	2.08	1.23	1.08
		27 იანვარი						
20:00	126	რასინგი-სარაგოსა	2.15	3.10	3.10	1.26	1.26	1.54
20:00	127	მურსია-ლევანტე	1.70	3.30	4.50	1.12	1.23	1.90
22:00	128	მალიორკა-ატლეტიკო	2.50	3.20	2.60	1.40	1.27	1.43
23:45	130	რეალი-ვილიარეალი	1.45	3.80	6.00	1.04	1.16	2.32
20:00	132	ვალენსია-ალმერია	1.65	3.40	5.20	1.11	1.25	2.05
20:00	133	დეპორტივო-ვალიადოლიდი	2.45	3.10	2.75	1.36	1.29	1.45
20:00	134	ესპანიოლი-ბეტისი	1.65	3.30	5.10	1.10	1.24	2.00
20:00	135	უელვა-ხეტაფე	2.25	3.20	2.90	1.32	1.26	1.52
		ესპანეთი. II დივიზიონი						
		26 იანვარი						
21:30	138	ტენერიფე-სევილია ბ	2.20	2.90	3.20	1.25	1.30	1.52
21:30	140	ალავესი-ტარაგონა	2.00	3.00	3.55	1.20	1.27	1.62
21:30	144	ეხიდო-სპორტინგი	3.40	3.00	2.15	1.59	1.31	1.25
23:00	145	ლას პალმასი-ნუმანსია	2.95	2.90	2.35	1.46	1.30	1.29
21:30	146	ელჩე-ალბასეტე	1.75	3.10	4.75	1.11	1.27	1.87
		27 იანვარი						
20:00	136	სერესი-ჰერკულესი	2.60	2.90	2.65	1.37	1.31	1.38
20:00	137	გრანადა -კადისი	2.20	2.90	3.20	1.25	1.30	1.52
15:00	139	სალამანკა-მალაგა	2.65	2.90	2.60	1.38	1.31	1.37
20:00	141	კორდობა-სელტა	2.55	2.80	2.75	1.33	1.32	1.38
20:00	142	კასტელონი-სოსიედადი	2.65	2.90	2.60	1.38	1.31	1.37
20:00	143	ეიბარი-ფერროლი	1.75	3.10	4.75	1.11	1.27	1.87
		საფრანგეთი. II დივიზიონი						
		25 იანვარი						
23:00	173	გრენობლი-ამიენი	1.70	3.00	5.10	1.08	1.27	1.88
23:00	174	აიაჩო-ანჟე	2.00	2.75	3.90	1.15	1.32	1.61
23:00	175	გენიონი-ბასტია	3.10	2.80	2.30	1.47	1.32	1.26
23:00	176	ლიბურნი-შატორუ	2.35	2.80	3.10	1.27	1.33	1.47
23:00	177	ბრესტი-კლერმანი	2.40	2.80	2.90	1.29	1.31	1.42
23:00	178	ბულონი-გენგამი	2.30	2.80	3.10	1.26	1.32	1.47
23:30	180	ტრუა-მონპელიე	1.90	2.90	4.00	1.14	1.28	1.68
23:00	181	ნიორი-რეიმსი	2.05	2.80	3.70	1.18	1.31	1.59
23:00	182	დიჟონი-სედანი	2.75	2.75	2.60	1.37	1.33	1.33

შესაძლო ცვლილებები დაიაზუსტეთ ადგილზე

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		28 იანვარი						
23:30	179	ნანტი-ლე ავრი	1.90	2.90	4.00	1.14	1.28	1.68
		ჰოლანდია. I დივიზიონი						
		24 იანვარი						
23:00	206	ფეიენოორდი-ტვენტე	1.90	3.40	3.50	1.21	1.23	1.72
		პორტუგალია. სუპერლიგა						
		27 იანვარი						
20:00	228	გიმარაეში-ბენფიკა	3.10	3.20	2.10	1.57	1.25	1.26
20:00	229	ლეიშოეში-ფერეირა	2.05	3.00	3.40	1.21	1.27	1.59
20:00	230	მარიტიმუ-ბოავიშტა	2.05	3.10	3.30	1.23	1.26	1.59
20:00	231	ნასიონალი-სეტუბალი	2.25	3.10	3.00	1.30	1.28	1.52
20:00	232	ნავალი-ამადორა	2.25	3.10	3.00	1.30	1.28	1.52
20:00	233	ბრაგა-ბელენენსეში	1.85	3.20	4.00	1.17	1.26	1.77
23:45	234	სპორტინგი-პორტუ	2.70	3.00	2.50	1.42	1.29	1.36
20:00	235	ლეირია-აკადემიკა	2.25	3.10	3.00	1.30	1.28	1.52
		საბერძნეთი						
		26 იანვარი						
21:00	244	ერგოტელისი-ოფი	2.30	3.00	2.90	1.30	1.28	1.47
21:00	245	ქსანთი-ვეროია	1.50	3.40	6.50	1.04	1.21	2.23
		27 იანვარი						
17:00	246	ირაკლისი-ასტერას ტრიპოლისი	2.30	3.00	2.90	1.30	1.28	1.47
18:45	247	აეკ-ლევადეიაკოსი	1.15	6.50	10.00	1.00	1.03	3.93
17:00	249	პანიონიოსი-კალამარია	1.50	3.50	6.00	1.04	1.20	2.21
18:45	251	ლარისა-ატრომიტოსი	1.85	3.10	3.90	1.15	1.25	1.72
21:00	252	ოლიმპიაკოსი-არისი	1.35	4.00	7.00	1.00	1.13	2.54
21:00	253	პაოკ-პანათინაიკოსი	2.90	3.00	2.30	1.47	1.28	1.30
		თურქეთი						
		26 იანვარი						
21:00	258	ბეშიქთაში-გაზიანთეფი	1.30	4.30	7.90	1.00	1.11	2.78
15:30	261	ოფთასპორი-ისტანბული	2.05	3.20	3.30	1.24	1.26	1.62
		27 იანვარი						
15:30	254	მანისა-დენიზლი	2.30	3.20	2.80	1.33	1.26	1.49
16:00	255	სივასპორი-ფენერბაჰჩე	2.50	3.20	2.50	1.40	1.25	1.40
21:00	256	ანკარაგიუჯიუ-გალათასარაი	3.50	3.20	1.95	1.67	1.25	1.21
15:30	260	კასიმპასა-კაისერი	3.50	3.20	1.95	1.67	1.25	1.21
15:30	263	კონია-ანკარა	1.65	3.40	4.70	1.11	1.22	1.97
		28 იანვარი						
15:30	259	ბურსა-გენჩლერბირლიგი	2.25	3.20	2.90	1.32	1.26	1.52
22:00	262	რიზე-ტრაბზონი	2.40	3.20	2.60	1.37	1.24	1.43
		მექსიკა						
		25 იანვარი						
23:45	569	ტეკოსი-ჩივასი	2.70	3.25	2.25	1.47	1.22	1.32
		26 იანვარი						
23:00	570	ხაგუარესი-ამერიკა	2.35	3.20	2.60	1.35	1.23	1.43
23:45	571	მორელია-პაჩუკა	2.20	3.25	2.85	1.31	1.24	1.51
23:45	572	ტიგრესი-კრუს ასული	2.30	3.25	2.65	1.34	1.23	1.45
23:45	573	ატლასი-ვერაკრუსი	1.70	3.30	4.50	1.12	1.23	1.90
		27 იანვარი						
22:00	574	პუმასი-ატლანტე	1.90	3.25	3.60	1.19	1.24	1.70
23:45	575	ნეკასა-სან ლუისი	1.95	3.25	3.30	1.21	1.22	1.63

			1	X	2	1-X	1-2	X-2
23:45	576	პუებლა-მონტერეი	2.30	3.25	2.70	1.34	1.24	1.47
23:45	577	სანტოსი-ტოლუკა	1.65	3.45	4.50	1.11	1.20	1.95
		ესპანეთი. თასი						
		24 იანვარი						
23:00	503	რასინგი-ბილბაო	1.90	3.20	3.90	1.19	1.27	1.75
23:45	504	ვილიარეალი-ბარსელონა	2.55	3.10	2.60	1.39	1.28	1.41
		თურქეთი. თასი						
		24 იანვარი						
15:30	543	დემირსპორი-მანისა	2.85	3.05	2.20	1.47	1.24	1.27
21:00	544	ტრაბზონი-გენჩლერბირლიგი	1.85	3.20	3.60	1.17	1.22	1.69
		იტალია. თასი						
		24 იანვარი						
23:45	527	ლაციო-ფიორენტინა	2.50	2.90	2.80	1.34	1.32	1.42
		ინგლისი FA Cup						
		25 იანვარი						
23:45	549	საუთენდი-ბარნსლი	2.40	3.30	2.60	1.38	1.24	1.45
		26 იანვარი						
16:30	550	მენსფილდი-მიდლსბრო	8.60	4.50	1.30	2.95	1.12	1.00
19:00	551	არსენალი-ნიუკასლი	1.30	4.40	8.60	1.00	1.12	2.91
19:00	552	ქოვენთრი-მილუოლი	1.55	3.50	5.40	1.07	1.20	2.12
19:00	553	ლივერპული-ჰავანტი	1.02	10.00	30.00	1.00	1.00	7.50
19:00	554	ოლდემი-ჰადერსფილდი	1.90	3.20	3.70	1.19	1.25	1.71
19:00	555	პიტერბრო-ვესტ ბრომვიჩი	4.40	3.40	1.70	1.91	1.22	1.13
19:00	556	პორტსმუთი-პლიმუთი	1.30	4.30	8.80	1.00	1.13	2.88
19:00	557	საუთჰემპტონი-ბერი	1.25	4.60	9.50	1.00	1.10	3.09
19:00	558	უოტფორდი-ვულვერჰემპტონი	1.90	3.30	3.50	1.20	1.23	1.69
21:15	559	უიგანი-ჩელსი	6.50	3.65	1.45	2.33	1.18	1.03
		27 იანვარი						
16:30	560	ჰერეფორდი-კარდიფი	3.90	3.30	1.85	1.78	1.25	1.18
18:00	561	მანჩესტერი-ტოტენჰემი	1.35	4.10	7.30	1.01	1.13	2.62
20:00	562	შეფილდი-სიტი	3.90	3.25	1.85	1.77	1.25	1.17
		ჰოკეი. ფინეთი						
		24 იანვარი						
20:30	333	ჰელსინკი-იოკერიტი	2.20	4.10	2.20	1.43	1.10	1.43
20:30	334	კალპა-კერპეტი	4.00	4.20	1.50	2.04	1.09	1.10
20:30	335	პელიკანსი-ესპოო	2.00	4.10	2.40	1.34	1.09	1.51
20:30	336	ტურკუ-ესეტი	1.55	4.30	3.50	1.13	1.07	1.92
		კალათბურთი. ევროლიგა						
		24 იანვარი						
22:45	481	როანე-რეალი	3.80	12.00	1.15	2.88	1.00	1.04
22:15	483	ჟალგირისი-ოლიმპიაკოსი	1.70	12.00	1.90	1.48	1.00	1.64
22:45	484	პარტიზანი-ბამბერგი	1.15	12.00	4.00	1.04	1.00	3.00
22:45	486	ოლიმპია-ვ.ბოლონია	1.15	12.00	3.80	1.04	1.00	2.88
		აფრიკის თასი. 2008						
		24 იანვარი						
21:00	532	გვინეა-მაროკო	4.20	3.20	1.85	1.81	1.28	1.17
23:30	533	განა-ნამიბია	1.13	6.00	15.00	1.00	1.05	4.28
		25 იანვარი						
21:00	534	კოტ დიუარი-ბენინი	1.30	4.20	10.00	1.00	1.15	2.95
23:30	535	ნიგერია-მალი	1.80	3.40	4.00	1.17	1.24	1.83

I ტაიმის შედეგი

		1	X	2	1-X	1-2	X-2
10206	ფეიენოორდი-ტვენტე	2.30	2.00	4.00	1.06	1.46	1.33
10503	რასინგი-ბილბაო	2.30	2.00	4.00	1.06	1.46	1.33
10504	ვილიარეალი-ბარსელონა	3.00	2.00	2.95	1.20	1.48	1.19
10527	ლაციო-ფიორენტინა	3.00	2.00	3.00	1.20	1.50	1.20
10543	დემირსპორი-მანისა	3.25	2.00	2.70	1.23	1.47	1.14
10544	ტრაბზონი-გენჩლერბირლიგი	2.25	2.00	4.40	1.05	1.48	1.37

I ტაიმი/ძირითადი დრო

		1/1	1/X	1/2	X/1	X/X	X/2	2/1	2/X	2/2
11206	ფეიენოორდი-ტვენტე	2.80	10.00	20.00	3.80	4.40	6.50	20.00	10.00	5.60
11503	რასინგი-ბილბაო	2.80	10.00	20.00	3.80	4.40	6.50	20.00	10.00	5.60
11504	ვილიარეალი-ბარსელონა	3.80	10.00	20.00	4.60	4.40	4.60	20.00	10.00	3.80
11527	ლაციო-ფიორენტინა	3.60	10.00	20.00	4.60	4.40	4.80	20.00	10.00	4.00
11543	დემირსპორი-მანისა	4.00	10.00	20.00	4.80	4.40	4.40	20.00	10.00	3.60
11544	ტრაბზონი-გენჩლერბირლიგი	2.80	10.00	20.00	3.80	4.40	6.50	20.00	10.00	5.60

რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

		ნაკ.	მეტ.
12206	ფეიენოორდი-ტვენტე	2.10	1.50
12503	რასინგი-ბილბაო	1.60	2.00
12504	ვილიარეალი-ბარსელონა	1.90	1.70
12527	ლაციო-ფიორენტინა	1.70	1.90
12543	დემირსპორი-მანისა	1.70	1.90
12544	ტრაბზონი-გენჩლერბირლიგი	1.70	1.90

გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

		კი	არა
13206	ფეიენოორდი-ტვენტე	1.40	2.20
13503	რასინგი-ბილბაო	2.00	1.60
13504	ვილიარეალი-ბარსელონა	1.60	2.00
13527	ლაციო-ფიორენტინა	1.70	1.90

რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს (მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე წსრული ფაბრულად ჩაითვლება)

14206	ფეიენოორდი-ტვენტე	1.70	2.20
14503	რასინგი-ბილბაო	1.70	2.20
14504	ვილიარეალი-ბარსელონა	1.90	1.90
14527	ლაციო-ფიორენტინა	1.85	1.95
14543	დემირსპორი-მანისა	2.00	1.80
14544	ტრაბზონი-გენჩლერბირლიგი	1.65	2.30

რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

		I-ში	თანაბრად	II-ში
15206	ფეიენოორდი-ტვენტე	3.00	2.80	2.00
15503	რასინგი-ბილბაო	3.00	2.80	2.00
15504	ვილიარეალი-ბარსელონა	3.00	2.80	2.00
15527	ლაციო-ფიორენტინა	3.00	2.80	2.00
15543	დემირსპორი-მანისა	3.00	2.80	2.00
15544	ტრაბზონი-გენჩლერბირლიგი	3.00	2.80	2.00

ფრეს გარეშე (ძირ დრო)

16206	ფეიენოორდი-ტვენტე	1.34	2.80
16503	რასინგი-ბილბაო	1.34	2.80
16504	ვილიარეალი-ბარსელონა	1.80	1.85
16527	ლაციო-ფიორენტინა	1.80	1.85
16543	დემირსპორი-მანისა	1.95	1.70
16544	ტრაბზონი-გენჩლერბირლიგი	1.32	3.00

გოლი:წყვილი-1თუ კენტი-2 (0:0 ითვლება წყვილად)

17206	ფეიენოორდი-ტვენტე	1.85	1.95
17503	რასინგი-ბილბაო	1.85	1.95
17504	ვილიარეალი-ბარსელონა	1.85	1.95
17527	ლაციო-ფიორენტინა	1.85	1.95
17543	დემირსპორი-მანისა	1.85	1.95
17544	ტრაბზონი-გენჩლერბირლიგი	1.85	1.95

საქართველოს თასი. 21-24 იანვარი თბილისი. სპორტის სასახლე

უთასო და დათარსული რუსთავი

თსუ 84:83 ენერჯი-ინვესტი

21:20 21:20 20:21 22:22

თსუ: არწივიძე (11), ფანჩულიძე (19), ბარბაქაძე (21), ბ. ნოზაძე, კეიდია (8); დ. ბერიშვილი (11), ყველაშვილი (7), ტყეშელაშვილი (7)
ენერჯი: ჩიტაშვილი (2), ლეჟავა (33), ბოისა (4), სტეფანოვი (15), ბაბიაშვილი (8); ცეკავა (6), დიდია (6), გოგობერიშვილი (4), ლიპარტელიანი (3), ტუჯანი (2), ქოჭუა
მსაჯები: ზაზა მაჩალაძე, ხათუნა გაბედავა
კომისარი: თენგიზ ქიქოძე

მაკაბი 76:116 ავიამშენი

13:28 25:31 15:32 23:25

მაკაბი: ი. ბერიშვილი (11), სორდია (10), პირველაშვილი (4), ს. შერმადინი (17), გ. შერმადინი (10); ვაშაკიძე (11), კორკოტაძე (9), გაგლოშვილი (2), იოსელიანი (2), აბმედიანი
ავიამშენი: ნიკოლაძე (30), ტუღუში (16 ქულა, 14 პასი, 8 მოხსნა), ნინიაშვილი (7), იმნაძე (16), ბათიაშვილი (8); მინაშვილი (17), ხოშტარია (12), სუხიშვილი (6), მოსეშვილი (2), ბერაია (2)
მსაჯები: მაკა კუპატაძე, გურამ მიქელაძე
კომისარი: როლანდ ხომერიკი



გურამ დოლიძეაშვილის ფოტო

სტუდენტთა გამარჯვების ბურთი დავით ბარბაქაძემ ჩააგდო

უინტერესოდ და დუნედ მიმდინარე თასის გათამაშების ფინალისწინა დღე ხმაურიანი გამოდგა. ჯგუფური ეტაპის ბოლო ტურში ისეთი სენსაცია მოხდა, რასაც ვერავინ წარმოიდგენდა. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდმა ტურნირის უმთავრესი ფავორიტი „ენერჯი-ინვესტი" დაამარცხა და ფინალში გავიდა.

არადა, თასის გათამაშების დაწყებამდე ვინმეს რომ ეთქვა, თსუ ფინალში გავაო, კალათბურთის უცოდინრად ჩათვლიდნენ. სტუდენტები ჯგუფში ეროვნულ ჩემპიონატში დაუმარცხებელ „ენერჯი-ინვესტთან" და მეორე ადგილზე მყოფ „ვითასთან" მოხვდნენ. ყველა ამ გუნდების ბრძოლას ელოდა, მაგრამ თსუ-მ ერთსაც კბილი გაჰკრა, მეორესაც და დღეს სათასო მატჩში „ავიამშენს" შეეცილება.

ხმაურიანი დღე იყოო, თავში ვთქვით და ნამატჩევს მართლაც დიდი ღრიანცელი ატეხეს სტუდენტებმა. ან როგორ უნდა მოეთოკათ ემოციები და არ ეხმაურათ, მათ ხომ უთუმცაო ფავორიტი დაამარცხეს და თანაც როგორ...

სირენამდე 6 წამით ადრე რუსთაველთა სერბმა ლეგიონერმა იოვან სტეფანოვმა 2-დან 1 საჯარიმო ჩააგდო და „ენერჯი-ინვესტი" 83:80 დააწინაურა. სტუდენტები ჯერ აქ გადარჩნენ, სერბმა ორივე სროლა რომ ვერ გამოიყენა, თუმცა სტეფანოვმა მათ მორიგი საჩუქარი მიართვა.

3 ქულის 6 წამში გაბათილება ისედაც ურთულესი საქმეა, თუმცა როცა სირენამდე 2 წამით ადრე თსუ-ს ფორვარდმა მიხეილ ფანჩულიძემ პერიმეტრის ხაზი გადაკვეთა და რუსთაველთა ფარისკენ დაიძრა, ქვემოქართლელების გამარჯვება ეჭვს აღარ იწვევდა. გაუშვი, ჩააგდოს ორქულიანი და დროც ამოიწურება, სტეფანოვმა კი რატომღაც სხვანაირად განსაჯა და მეტოქე რიგითი ჯარიმით კი არ შეაჩერა, არამედ არასპორტულად. საჯარიმოს ხაზთან ამხტარ ფანჩულიძეს სერბმა მაისურაზე მოქაჩა და მსაჯმაც სამართლიანად დაიფიქსირა განზრახ ჯარიმა. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ სტუდენტები ორ საჯარიმოს შეასრულებდნენ და ბურთიც მათ რჩებოდათ. ოღონდ მოედნის ცენტრიდან უნდა შემოეტანათ. საფინალო სირენამდე კი სულ რაღაც წამნახევარი იყო.

ფანჩულიძემ ორივე საჯარიმო ჩააგდო, ჩამორჩენა მინიმუმამდე შეამცირა და მისი გუნდი ბურთის შემოსატანად მოემზადა. რუსთაველებმა ყურადღება ირაკლი კეიდიაზე გადაიტანეს, რომელმაც მოძრაობა ბურთის შემომტანი დავით ბერიშვილისკენ გააკეთა. თსუ-ელმა დავით ბარბაქაძე კი პირიქით, შორეული კუთხისკენ გაიქცა და ბერიშვილმაც მას უპასა. სტეფანოვი აქაც შეცდა — მერე რა, რომ ბარბაქაძე შორეულ კუთხეში იდგა — არ უნდა მიეტოვებინა. ბარბაქაძემ ბურთი სამქულიანისა და საჯარიმოს ხაზს შორის მიიღო, მოტრიალდა და ბურთი მის თითებს რომ მოსწყდა, სირენაც გაისმა. ფარის კედლიდან ასხლეტით ბურთი კალათში ჩაეშვა და... აი, აქ აფეთქდნენ თსუ-ელები და მათ სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა.

ნამატჩევს ძალიან ბევრმა თქვა, რომ ეს სეზონის საუკეთესო თამაში იყოო. ასეთი თანაბარი და დაძაბულფინალიანი ბრძოლა სანთლითაა საძებნი. თავად განსაჯეთ, მეოთხედები ამ თანმიმდევრობით გასრულდა: 21:20, 21:20, 20:21, 22:22. ორივე გუნდმა 24-ჯერ დაკარგა ბურთი, ორივემ 14-ჯერ მოახერხა ჩაჭრა და 23-23 ჯარიმა მიიღო. 2 პასით „ენერჯიმ" ავჯობა, 1 მოხსნით თსუ-მ, ორქულიანებიც, სამიანებიც და საჯარიმოები თითქმის თანაბრად ჰქონდათ ჩაგდებული.

ერთი სიტყვით, თსუ-მ სასწაული მოახდინა და რუსთაველებს ფინალის საგზური ცხვირწინ ააცალა. დღეს სტუდენტებს მორიგი გამოცდა ელით მესამე ძლიერ ქართულ გუნდ „ავიამშენთან", რომელმაც გუშინ სულ ღიღინ-ღიღინით მოუგო „მაკაბის".

ირაკლი პერტაია

ულეგ-ის თასი. ჯგუფური ეტაპი მეათე ტური. 22 იანვარი

A ჯგუფი

შაულიაი (ლიტვა) 51:89 **ხუვენტუდი** (ესპანეთი)
ბოსნა (ბოსნია) 91:76 **ალბა** (გერმანია)
ტელეკომი (თურქეთი) 92:73 **გილფორდი** (დიდი ბრიტანეთი)
ხუვენტუდი 19, ტელეკომი 19, ბოსნა 14, შაულიაი 14, ალბა 14, გილფორდი 10

B ჯგუფი

ვენტსფილსი (ლატვია) 77:64 **აძზ** (სერბეთი)
კიოლნი (გერმანია) 97:90 **ოვარენშე** (პორტუგალია)
ბეშიქთაში (თურქეთი) 78:55 **შალონი** (საფრანგეთი)
ბეშიქთაში 20, ვენტსფილსი 16, კიოლნი 16, შალონი 15, აძზ 13, ოვარენშე 10

C ჯგუფი

ჰემოფარმი (სერბეთი) 77:84 **გალათასარაი** (თურქეთი)
ასოფტი (რუმინეთი) 78:68 **ხირონა** (ესპანეთი)
შარლერუა (ბელგია) 85:76 **ჰანზევასტი** (ჰოლანდია)
ხირონა 17, გალათასარაი 17, ჰემოფარმი 16, ასოფტი 14, შარლერუა 14, ჰანზევასტი 12

D ჯგუფი

პამესა (ესპანეთი) 63:60 **ხიმკი** (რუსეთი)
ანვილი (პოლონეთი) 85:63 **ნანსი** (საფრანგეთი)
სკაილაინერსი (გერმანია) 63:72 **აზოვმაში** (უკრაინა)
პამესა 18, ხიმკი 18, აზოვმაში 16, ნანსი 14, ანვილი 14, სკაილაინერსი 10

E ჯგუფი

ფრაიბურგი (გერმანია) 83:101 **ელიონი** (ისრაელი)
ბუდუჩნოსტი (ჩერნოგორია) 86:80 **სვანსი** (შვედეთი)
ანტვენპენი (ბელგიელ) 82:94 **ტრიუმფი** (რუსეთი)
ტრიუმფი 18, ბუდუჩნოსტი 17, სვანსი 15, ანტვენპენი 14, ფრაიბურგი 13, ელიონი 13

F ჯგუფი

ნიმბრუკი (ავსტრია) 83:88 **დინამო** (რუსეთი)
პანელინიუსი (საბერძნეთი) 67:85 **ბოლონია** (იტალია)
ცრვენა ზვეზდა (სერბეთი) 86:100 **ოსტენდე** (ბელგია)
დინამო 18, ოსტენდი 16, ცრვენა ზვეზდა 16, ნიმბრუკი 15, ბოლონია 14, პანელინიოსი 11

G ჯგუფი

ულიონსკი (საფრანგეთი) 84:65 **კალევი** (ესტონეთი)
პანიონიოსი (საბერძნეთი) 86:95 **ლუდვიგსბურგი** (გერმანია)
კანარია (ესპანეთი) 89:83 **ასველი** (საფრანგეთი)
კანარია 18, ასველი 16, პანიონიოსი 15, ულიონსკი 15, ლუდვიგსბურგი 13, კალევი 13

H ჯგუფი

ასკ (ლატვია) 80:83 **ბენეტონი** (იტალია)
არტლენდი (გერმანია) 71:69 **ბკ კიევი** (უკრაინა)
აკადემიკი (ბულგარეთი) 106:89 **პო ორტეზი** (საფრანგეთი)
ბენეტონი 17, ბკ კიევი 17, აკადემიკი 16, არტლენდი 15, ასკ 13, პო ორტეზი 12

I ჯგუფი

ჰაპოელი (ისრაელი) 89:74 **ტუროვი** (ბელორუსი)
უნიძსი (რუსეთი) 68:50 **ეიფელ თაუერსი** (ჰოლანდია)
სტრასბური (საფრანგეთი) 74:83 **ზადარი** (ხორვატია)
ტუროვი 18, ზადარი 16, უნიძსი 15, ჰაპოელი 15, ეიფელ თაუერსი 13, სტრასბური 13

გუშინწინ დასრულდა ულებ-ის თასის ჯგუფური ეტაპი და ის 32 გუნდი გამოვლინდა, რომლებიც პლეი ოფში გააგრძელებენ ბრძოლას. 9 ჯგუფის სამ-სამი საუკეთესო პირდაპირ გავიდა პლეი ოფში და მათ 4 საუკეთესო მეოთხეადგილოსანი დაემატა. კენჭისყრის შედეგად 32 საუკეთესო დაწყვილდება და პლეი ოფიც მანამ გაგრძელდება, სანამ შეჯიბრს 8 გუნდი არ შემორჩება. 10-13 აპრილს კი იტალიის ქალაქი ტურინი რვათა ფინალს უმასპინძლებს, რაც ევროტურნირებისთვის ახალი ხილია — აქამდე ოთხთა ფინალი იმართებოდა.

მანუჩარ მარკოიშვილის „ბკ კიევმა" ბოლო ტურში დაკარგა ჯგუფის პირველობა. გერმანიაში „არტლენდთან" წაგებულ მატჩში მარკოიშვილმა 12 ქულა და 6 მოხსნა მიაშველა თავისიანებს, მაგრამ...



ბალტიის ვარსკვლავებში ცინცაძეც ანათებს

აი, დასრულდა ბალტიის ლიგის საოლსტარო გამოკითხვა, რომელიც ინტერნეტით თითქმის ერთი თვეა მიმდინარეობდა და ქართველებსაც საამაყო გაგვიჩინდა. ესტონურ "როკში" მოთამაშე გიორგი ცინცაძე კარგა ხანი ლიდერობდა სრულიად ბალტიის ვარსკვლავებს, თუმც ბოლოს რამდენიმე მოთამაშემ გადაასწრო, მაგრამ ამას მისთვის ხელი არ შეუშლია, ამ პრესტიჟულ მატჩში ადგილი დაებევებინა.

გამოკითხვამ ასეთი ხუთეულები შეარჩია: ერთის მხრივ ადგილობრივები — ლიტველები, ესტონელები, ლატვიელები და მეორეს მხრივ ამ ქვეყნებში მოთამაშე უცხოელები. ქომაგები ხმას აძლევდნენ მთლიან ხუთეულს: ცენტრს, ორ ფორვარდს და ამდენივე უკანახაზელს.

ცინცაძე, თავისთავად, უკანახაზელებში "იყრიდა კენჭს". მისი კონკურენტები იყვნენ "ჟალგირისის" ცნობილი უკანახაზელები — მარკუს ბრაუნი და მარკო პოპოვიჩი, ასევე "ლიეტუვოს რიტასში" მოთამაშე არანაკლებ ცნობილი უკანახაზელი ჰოლის პრაისი.

ქართველი გამთამაშებელი კარგა ხანს პირველობდა ამ ხალხში და სრულიად გამოკითხვაშიც, მაგრამ ბოლოს მარკუს ბრაუნმა მაინც გადაუსწრო, თუმც ცინცაძეს მეორეობამაც მოუტანა ბალტიური ოლსტარის ხუთეულში ადგილი.

ყველა ვარსკვლავის მატჩი 2 თებერვალს გაიმართება ესტონეთის დედაქალაქ ტალინში.

ირაკლი პერტაია

NBA რეგულარული ჩემპიონატი

ატლანტამ ზაზა დააშოშმინა

„ატლანტა ჰოქსმა“ ქართველი ცენტრი ზაზა ფაჩულია მწვრთნელ მაიკ ვუდსონთან საჯარო კამათისათვის ერთთამაშიანი დისკვალიფიკაციით დასაჯა. 21 იანვარს „პორტლენდთან“ ოვერტაიმში წაგებული შინაური თამაშის მსვლელობის დროს, უფრო ზუსტად, შესვენებაზე ფაჩულია მილეთის დასანახად ეკამათებოდა და სახესთან ხელს უქნევდა თავის დამრიგებელ ვუდსონს, რომელმაც ის რამდენჯერმე ისე შეცვალა, რომ ფაქტობრივად გახურების და თამაშის რიტმში შესვლის საშუალებაც არ მისცა.

ზაზა ფაჩულიას ამ სეზონში ნამდვილად ვერ მისდის საქმე იდეალურად. 28 აგვისტოს საქართველოს ნაკრების მოულოდნელი წაგება ისლანდიაში, უთანხმოება ქვეყნის კალათბურთის ფედერაციასთან, ტრავმები, ადგილის დაკარგვა „ატლანტა ჰოქსის“ ძირითად ხუთეულში... მოკლედ, ზაზას ბოლო დროს ბევრი ნეგატიური მოვლენის ჩარხში გამოვლა მოუხდა. ფეხის თითის ტრავმამ სულ ახლაჯან რამდენიმე თამაში გამოატოვებინა. ის გამოკეთდა, ორშაბათს „პორტლენდთან“ სათამაშოდაც გაემზადა და...



ზაზას დელეგაციაშეილის ფოტო

ხმამაღალი საუბრის შემდეგ ვუდსონმა ფაჩულია გასახდელში ისე გაუშვა, რომ ზაზას ათი წუთიც არ უთამაშია (1 ქულა, 1 დაკარგვა, 1 ჯარიმა). კლუბის გენერალურმა მენეჯერმა ბილი ნაითმა კი მეორე დღეს ფაჩულიას დისკვალიფიკაციის შესახებ განაცხადა.

ზაზას უნდა გამოეტოვებინა წუხელ „დენვერთან“ გასვლით მატჩი. იგი მოედანს სიეტლში იქაურ „სუპერსონიქსთან“ შეხვედრაში დაუბრუნდება და გუნდს ხუთმატჩიანი გასვლით ტურნეს მეტ-ნაკლებად მშვიდობიანად გადაგორებაში დაეხმარება.

კოტე ყორშია

ნეშის თქეში

22 იანვარი

მილუოკი 105:114 ფინიქსი

მილუოკი: რედი (28), ბოგუტი (19 ქულა, 13 მოხსნა), საიმონსი (15)

ფინიქსი: ნეში (37 ქულა, 10 პასი), სტუდმაიერი (19 ქულა, 12 მოხსნა), ბელი (19), მერიონი (14)

საკრამენტო 128:94 ნიუ ჯერსი

საკრამენტო: არტესტი (27), მარტინი (19), ბიბი (15), მილერი (14), უდრიჰი (14)

ნიუ ჯერსი: კარტერი (21), ჯეფერსონი (18), ალენი (14), კიდი (13)

22 იანვარს ნბა-მ გუნდების დიდი ნაწილი დაასვენა და მხოლოდ ორი თამაში დანიშნა. მათ შორის უფრო საინტერესო გამოდგა „ფინიქსის“ სტუმრობა მილუოკში. სტუმართა ლიდერი და ლიგის საუკეთესო გამთამაშებელი სტივ ნეში, ყველას მოგეხსენებათ, პასის როგორი ჯადოქარია, თუმც „მილუოკისთან“ მან ბევრი გასაცემი პასი ჯიბეში შეინახა და თავად ბასრად შეუტია მასპინძელთა დაცვას. ამის მიზეზი ის გახლდათ, რომ დამხვდურთა ცენტრი ენდრიუ ბოგუტი პირად ორთაბრძოლაში შესაჩინევად ჯობდა მომხდურთა დიდკაც ამარე სტუდმაიერს. ეს უკანასკნელი მატჩში საშუალოდ 12 ქულას იხვეჭს და „ფინიქსის“ ბომბარდირია, მაგრამ ახლა სამ პერიოდში მხოლოდ 9 ქულა შეეკოწიწებინა და ნეშმაც ამად აიღო საკუთარ თავზე ქულების კეთება. დასკვნით მეოთხედში, რომელიც მისმა გუნდმა 37:22(!) მოიგო, მან 15 ქულა გაიპირადა და სეზონის ახალი რეკორდი მოინიშნა. სხვათა შორის ძველი რეკორდიც სწორედ „მილუოკისთან“ 3 ქონდა, სულ ახლახან, 12 იანვარს 35 ქულა ჩაუგდო ამ გუნდს და „ფინიქსს“ თითქმის იმავე 8-ქულიანი სხვაობით მოაგებინა.

ნეშის წყალობით, „ფინიქსმა“ 30-ე გამარჯვება ჩაიწერა აქტივში და ამ ნიშნულს დასავლეთის დიდრონ გუნდთა შორის პირველი შესწვდა.

კოტე ყორშია

კვირის მოთამაშეები

აღმოსავლეთი

ჯერალდ ვოლესი (შარლოტი)



დასავლეთი

ბაირონ დევისი (გოლდენ სტეიტი)



გუშინ ნბა-მ გასული კვირის საუკეთესო მოთამაშეები დაასახელა. აღმოსავლეთში რჩეულის ტიტული შეხვდა ბოლო ხანს მართლაც ზღაპრულ ფორმაში მყოფ ჯერალდ ვოლესს, რომელიც „შარლოტ ბობრეთსის“ მთავარი დამრტყმელია შეტევაში და საუკეთესო დამცველი მეტოქის შეტევისას. გასულ კვირაში „ფოცხვერებს“ ოთხი თამაშიდან მან სამი მოაგებინა და ამ შეხვედრაებში საშუალოდ 29,0 ქულა, 8,0 მოხსნა, 4,8 პასი, 3,0 ჩაჭრა და 1,0 დაფარება აკეთა. 201-სანტიმეტრიანი უნივერსალი ფორვარდი ნამდვილად თავისი გუნდის ნახევარია. მან სეზონის საუკეთესო თამაში 14 იანვარს „დენვერთან“ ჩაატარა, რომელსაც 40 ქულა აძგერა. არანაკლებ შთამბეჭდავი იყო ორი დღის შემდეგ „ორლანდოსთან“ გაკეთებული 36 ქულა და 14 მოხსნა.

დასავლეთში კი საუკეთესო გახდა „გოლდენ სტეიტ ვორიორზის“ 191-სანტიმეტრიანი წვერგაბარდული გამთამაშებელი ბაირონ დევისი, რომელმაც ასევე ოთხიდან სამი მოაგებინა თავის გუნდს და მჭიდროდ დასახლებულ დასავლეთში მერვე ადგილი შეუნარჩუნა. 18 იანვარს ჩიკაგოში მან 40 ქულა მოიხვეჭა, საშუალოდ კი 26,3 ქულა, 7,0 პასი, 5,0 პასი და 4,5 ჩაჭრა (!) აკეთა.

ისე კი დასავლეთში რჩეულის წოდება „დენვერის“ ცენტრ მარკუს კემბიზეც ალალი იქნებოდა, ვინაც კვირის ოთხ მატჩში საშუალოდ 11,0 ქულა, 19,0 მოხსნა, 5,3 დაფარება და 3,0 პასი მოინაგრა.

კვირის სიმბოლური ხუთეული („სარბიელის“ ვერსია):
ბაირონ დევისი (გოლდენ სტეიტი), კობი ბრაიანტი (ლეიკერსი), ლებრონ ჯეიმსი (კლივლენდი), ჯერალდ ვოლესი (შარლოტი), მარკუს კემბი (დენვერი)

ტოპალოვმა კრამნიკს ტუალეტი გაუხსენა

თითქმის წელიწადნახევრიანი პაუზის შემდეგ ვესელინ ტოპალოვმა ვლადიმირ კრამნიკს მოუგო და ამდენი ხნის ნაგროვები ბოღმა ამოიღო. შეგახსენებთ, რომ 2006 წლის ოქტომბერში რუსმა ბულგარელს მსოფლიოს ჩემპიონობა აართვა და ცნობილი „სატუალეტო სკანდალიც“ მაშინ შედგა. მას შემდეგ ისინი დასანახად ვერ იტანენ ერთმანეთს და თამაშის წინ ხელსაც აღარ ართმევენ.

ვეიკ ან ზეეს დაპირისპირებამ მშვიდობიანად, სკანდალების გარეშე ჩაიარა, თუმც შედეგი მშვიდობიანი არ გამოვიდა.

პარტია ბულგარელმა ლაზიერის გამბიტით დაიწყო, საომრად მხედრები გამოაჭენა და მე-10 სვლაზე როქი გააკეთა. კრამნიკმა ცენტრში მსუბუქი ფიგურები გაუშვა, ტოპალოვმა კი მარჯვენა ფლანგიდან დედოფლით დაარტყა და უპირატესობას დაეუფლა. თეთრებმა ლაზიერის მხრიდან იერიშები გააძლიერეს, ეტლებით შავი ხელმწიფე კუთხეში გამომწყვდიეს და 45-ე სვლაზე დაატყვევეს.

დამარცხდა ცხრილის ლიდერი მაგნუს კარლსენი. იგი თეთრი ფიგურებით პეტერ ლეკომ მე-40 სვლაზე დააშამათა. კონკურენტის წაფორხილებით ისარგებლა ლევონ არონიანმა. სომეხმა დიდოსტატმა პაველ ელიანოვს გაუყო ქულა და ნორვეგიელს გვერდზე მიუჯდა.

ლაზა გეგეჭკორი

ვეიკ ან ზეეს სუპერტურნირი

ვეიკ ან ზეე. ჰოლანდია. 11-27 იანვარი

IX ტური

ლევონ არონიანი (სომხეთი)	0,5:0,5	პაველ ელიანოვი (უკრაინა)
ვასილ ივანჩუკი (უკრაინა)	0,5:0,5	შაჰრიარ მამედიაროვი (აზერბაიჯანი)
პეტერ ლეკო (უნგრეთი)	1:0	მაგნუს კარლსენი (ნორვეგია)
ვესელინ ტოპალოვი (ბულგარეთი)	1:0	ვლადიმირ კრამნიკი (რუსეთი)
იუდიტ პოლგარი (უნგრეთი)	0,5:0,5	თეიმურ რაჯაბოვი (აზერბაიჯანი)
ბორის გელფანდი (ისრაელი)	0,5:0,5	ვიშვანათან ანანდი (ინდოეთი)
მაიკლ ადამსი (ინგლისი)	1:0	ლუკ ვან ველი (ჰოლანდია)

სატურნირო ვითარება

1. მაგნუს კარლსენი	5,5	8. შაჰრიარ მამედიაროვი	4,5
2. ლევონ არონიანი	5,5	9. პეტერ ლეკო	4,5
3. ვლადიმირ კრამნიკი	5	10. ვესელინ ტოპალოვი	4,5
4. მაიკლ ადამსი	5	11. ლუკ ვან ველი	4
5. თეიმურ რაჯაბოვი	5	12. იუდიტ პოლგარი	4
6. ვიშვანათან ანანდი	5	13. პაველ ელიანოვი	3
7. ვასილ იაწჩუკი	4,5	14. ბორის გელფანდი	3

თავში მონღოლები და ერთი მონღოლიც ტოჩინოშინისთვის

გუშინ ტოკიოში წლის პირველი სუპერტურნირის, იანვრის ბაშოს მეთერთმეტე დღე ჩაჭიდავდა და ქართველმა პროფესიონალმა სუმოისტმა ლევან ცაგურიამ ზედიზედ მესამედ წააგო. კოკაიდ (შავი ზღვა) წოდებული ქართველი გოლიათის უიღბლობას ბოლო არ უჩანს. გასულ უქმეებამდე ცაგურიას ექვსი მოგება და ორი მარცხი ჰქონდა, რაც იმპერატორის თასისთვის ბრძოლის შანსს უნარჩუნებდა. ახლა კი კოკაის თასისთვის კი არა, დადებითი ბალანსის და რეიტინგში ადგილის შენარჩუნებისთვის მოუწევს ბრძოლა.

გუშინ ლევან ცაგურიამ 31 წლის, რეიტინგში მასზე უკან მდგომ იაპონელ ივაკიამასთან წააგო, ვინც წლეულს კარგად ჭიდაობს და ქართველისგან განსხვავებით, რეიტინგშიც ალბათ დაწინაურდება. ლევან ცაგურიას ბალანსი ახლა 6 მოგება და 5 წაგებაა. დარჩნილ ოთხ ბრძოლაში ჩვენიანს ორი მოგებაც ეყოფა დადებითი ბალანსი რომ შეინარჩუნოს და რეიტინგში არ დაქვეითდეს. ისე, კოკაის ახასიათებს ტურნირის შუალედში ჩავარდნა და იმედია, ბოლოსკენ გამარჯვებებს მიითვლის. დღეს კოკაის მეტოქე მასავით 6 მოგებისა და 5 წაგების მქონე იტიხარაა, ვინც ქართველისთვის არცთუ რთულ მეტოქედ ითვლება.

უმაღლეს დივიზიონს კი, 10 გამარჯვებით და ერთი წაგებით, მონღოლი იოკუძუნები ჰაკუხო და ასასორიუ ლიდერობენ. 9-9 მოგება აქვთ კაკორიუს და კეკუტენხის. იმპერატორის თასის მომავალი მფლობელიც ამ ოთხეულში უნდა ვეძიოთ.

რანგით მეორე დივიზიონში ფანტასტიკური დებიუტი აქვს 20 წლის ლევან გორგაძეს (ტოჩინოშინი). გორგაძემ გუშინ 33 წლის და 137-კილოგრამიანი იაპონელი გოლიათი ტოიოძაკურა წააქცია და ლიდერთა ამქარს თავზე წამოასკუპდა. გორგაძეს ბალანსი ახლა 8-3-თან აქვს. მასავით სამი მარცხი დაუგროვდა კიდევ სამ სუმოისტს — კიტამაკურას, კიტატაიკის და ტამავაშის. თუმც ამათ ქართველი ფალავანი ურთიერთშეხვედრებით სჯობნის. ერთი სიტვყით, ლევან გორგაძეს დიდი შანსი აქვს, მეორე დივიზიონში გაიმარჯვოს, ხოლო წოდებაში დასაწინაურებლად დარჩენილი ოთხივე ბრძოლა უნდა მოიგოს. დღეს გორგაძის მეტოქე მეორე დივიზიონში მე-5 ნომრად განთესილი 23 წლის მონღოლი ჰოშიჰიკარი იქნება. 183-სანტიმეტრიან და 111-კილოგრამიან მონღოლს უმაღლეს დივიზიონშიც უჭიდავია, მაგრამ ბოლოს მოუკლო და წოდებაშიც დაქვეითდა. მეორე დივიზიონის სადღეისო მთავარი ბრძოლაც სწორედ ჩვენიანსა და მონღოლს შორის შედგება. ქართველი მეტოქეზე 8 სანტიმეტრით მაღალი და 34 კილოგრამით მძიმეა.

ბაჩო სვანიძე



პირველი ნაბიჯი დიდი მიზნისკენ

ნაკრებმა შეცდომებზე უნდა ისწავლოს

საქართველოს ნაკრები ნორვეგიიდან „ჩელენჯ-ტროფის“ ტურნირში გამარჯვებულის სტატუსით დაბრუნდა და ახლა საშემოდგომო ევრო 2010-ის შესარჩევი თამაშებისთვის დაიწყებს მზადებას. უშუალოდ ვარჯიშები და შეკრებების მოწყობა ჯერ ადრეა, მაგრამ ხელბურთის ფედერაცია მიმდინარე წლის სამოქმედო გეგმის შემუშავებას უკვე შეუდგა.

განვლილმა „ჩელენჯ-ტროფის“ ტურნირმა გამარჯვების სიხარულთან ერთად, კითხვებიც გაჩინა, რომლებიც ნაკრების სათამაშო ხარისხს, ბევრ ტექნიკურ წუნს და სხვა მნიშვნელოვან თემებს ეხება.

ევროპის საერთაშორისო ფედერაციის გადაწყვეტილებით, წლეულს საევროპო კენჭისყრა ძველისგან განსხვავებულად ჩატარდება. ჩვენი მეტოქეები აპრილში უნდა გაირკვეს და ნაკრების დღევანდელი რეიტინგიდან გამომდინარე, დიდი მიხვედრა არ სჭირდება იმას, რომ შემოდგომაზე ლუქსემბურგზე გაცილებით ძლიერ მეტოქეებთან მოგვიწევს ჭიდილი. როგორ უნდა შეფასდეს ნაკრების გამოსვლა? რასირად უნდა წარიმართოს შესარჩევისთვის მზადება? და საერთოდ, რისი შეცვლაა საჭირო უკეთესი შედეგების მისაღწევად. ამ თემებზე ხელბურთის ფედერაციის პრეზიდენტი თამაზ თევზაძე კიცე-პრეზიდენტი მერაბ მეტრეველი და ნაკრების თავკაცი იმედო ფხაკაძე გვესაუბრნენ

თამაზ თევზაძე ეფიქრობ, დიდი წარმატებაა, რომ დამოუკიდებელი ქართული ხელბურთის ისტორიაში პირველი ტიტული მოვიპოვეთ. მართალია, „ჩელენჯ-ტროფი“ მეორე ეშელონის ნაკრებებისთვის არის განკუთვნილი, მაგრამ ამ ეტაპზე ესეც კარგია. ჩვენ გარკვეული კონფიცია გვაქვს შემუშავებული, რომლის მიზანი 2012 წლის ოლიმპიადაზე მოხვედრისთვის ბრძოლაა. მანამდე კი სხვადასხვა შეალედური ნაბიჯებია გადასადგმელი და ეს გამარჯვება პირველ დიდ ნაბიჯად ჩავთვალოთ. რაც შეეხება თვითონ ნაკრების სათამაშო ხარისხს, მე არ მინდა ჩავერიო მწვრთნელის კომპეტენციაში. ბუნებრივია, მაქვს გარკვეული შენიშვნები, მაგრამ ისიც არის, რომ 100 პროცენტით საკუთარი შესაძლებლობების წარმოჩენას ვერავინ ახერხებს. მთავარია, ბიჭები მონდომებულები და შემართულები იყვნენ იმისთვის, რომ გამარჯვებისთვის მიეღწიათ. ვთქვათ ისიც, რომ ბოლო 5 წუთი ძალიან ცუდი იყო. აქ წმინდა ქართულ ხასიათზე შეიძლება საუბარი. ბიჭებმა ჩათვალეს, რომ რაკი 5 ბურთის იგებდნენ, ყველაფერი დამთავრდა და კინაღამ დავისაჯეთ.

— ზუსტად ანალოგიური მოლდოვის ნაკრებთან თბილისში თამაშის დროსაც შეგვემთხვა, მაგრამ მაშინ უფრო იოლად გადავრჩით. ახლა უკვე ნათლად გამოჩნდა, რომ მოლდოვის ნაკრები უკეთესი გუნდი იყო და ისიც ფაქტია, რომ მასთან უკეთ ვითამაშეთ...

— იქაც იყო ასეთი მომენტი და ნათელია, ამ მხრივ სამუშაო გვაქვს. მოლდოვასთან მაინც ჯგუფური თამაში გახლდათ, ეს კი ფინალი იყო, თანაც ჩვენთვის პირველი, მეტ დატვირთვას, მეტ პასუხისმგებლობას მოითხოვდა. შეცდომები უნდა გავანალიზოთ და გაკვეთილად გამოვიყენოთ.

— როგორ მოემზადება ნაკრები ევრო 2010-ის შესარჩევი თამაშებისთვის?

— თავიდანვე აღვნიშნოთ, რომ ნაკრებს, ორგანიზაციული თვალსაზრისით, არანაირი პრობლემა აღარ ექნება. სამწუხაროდ, ცუდმა ამინდებმა ნორმალურ პირობებში მომზადების საშუალება არ მოგვცა. ასეთი რამ არ განმეორდება. ჩვენს წისქვილზე წყალს ისიც ასხამს, რომ შესარჩევის სისტემა შეიცვალა. თუ ადრე 5-6 ლიმიტი ევროპის ჩემპიონატზე წინასწარ დაჯავშნული იყო, ახლა 16 ადგილიდან, ევროპაზე გამოსვლა გარანტირებული მხოლოდ მასპინძელ ავსტრიას და ევროპის მოქმედ ჩემპიონს ექნება. დანარჩენი 14 ადგილისთვის კი ყველა იბრძოლებს: 7-8 წლის წინ 20 ქვეყანას შორის ვიყავით, ახლაც გვინდა, რომ 16 საუკეთესოს შორის ადგილი დავიკავოთ. მაქსიმუმ 8-10 უძლიერესი ნაკრების მერე პრეტენზია გვექნება რეიტინგში დასამკვიდრებლად. ნაკრების მიზანი ამ ციკლში ევროპის ჩემპიონატზე მოხვედრა იქნება...

მერაბ მეტრეველი. ლუქსემბურგთან თამაშში რაც ყველაზე მეტად თვალში საცემი იყო, ეს შეუთამაშებლობაა. 4 დღე მოსამზადებლად არ გახლდათ საკმარისი. ნაკრებმა პირველ ტაიმში ერთი კონტრშეტევა ვერ განახორციელა და ვერც მეორეში გამოუვიდა ეს. ბიჭებს საერთაშორისო დონეზე გამოსვლის პრაქტიკა აკლდათ. მოლდოვასთან შეხვედრამდე ნაკრები უფრო დიდხანს ემზადებოდა და ამიტომაც უკეთ გამოვიდა. სწორი მიდგომაა შესამუშავებელი, ნაკრები კონკრეტული თამაშისთვის კი არ უნდა მოემზადოს, არამედ მთლიანად ციკლისთვის. შესარჩევის თამაშებამდე მინიმუმ ორი საერთაშორისო ტურნირი გვჭირდება შესათამაშებლად და დასახვეწად. ამ ნაკრებსა და იმას შორის, რომელიც სტუდენტურ თამაშებზე გამოვიდა, განსხვავება ისეთია, როგორც ცა და დედამიწა, არადა, ახლა გაცილებით კარგი თაობა გვყავს.

იმედო ფხაკაძე ადაპტაციის პრობლემამ ძალიან შეგვიშალა ხელი. აქ სულ სხვა პირობებში ვემზადებოდით და იქ სულ სხვა სიტუაცია დაგვხვდა. ბიჭებს დასასვენებლად ცოტა დრო ჰქონდათ და დაღლილები იყვნენ. ახლა გამოჩნდა, რომ სკობდა, ნორვეგიაში 2 დღით ადრე ჩავსულიყავით. ისიც სათქმელია, რომ ნაკრებს ფინალის თამაშის გამოცდილება არ გააჩნდა. ცუდად დავიწყეთ, მაგრამ მეორე ტაიმში ყველაფერი დალაგდა. ბოლოს კი ბიჭები ნაადრევად მოდუნდნენ, მერე მე წუთშესვენება მოვითხოვე და ვუთხარი, რომ დრო მაქსიმალურად გაეწელათ, თუნდაც მსაჯს პასიური მდგომარეობა ჩაეთვალა და ბურთი წაერთმია. მაგრამ იგივე გაგრძელდა, კაციც გაგვიგდეს და... მაგრამ არა უშავს, მთავარია, რომ გავიმარჯვეთ. ისე კი, ლუქსემბურგზე მაღალი დონის გუნდი გვყავს და მათ 8-10 ბურთს უნდა ვუგებდეთ.

— თბილისში „ჩელენ-ტროფზე“ ჩატარებული თამაშების მერე ლუქსემბურგს ვეთამაშეთ, როგორ ფიქრობთ, სათამაშო ხარისხმა მოიმატა?

— მგონია, რომ მაინც მოიმატა და ნელ-ნელა წინ მივდივართ.

ლექსო მაისურაძე

კაცთა ევროპის ჩემპიონატი. ნორვეგია. 17-27 იანვარი

მეორე ჯგუფური ეტაპის პირველი ტური

I ჯგუფი

ხორვატია 20:30 დანია

პოლონეთი 24:24 ნორვეგია

სლოვენია 31:29 ჩერნოგორია

ნორვეგია	2	1	0	78:72	5
დანია	2	0	1	88:71	4
ხორვატია	2	0	1	81:81	4
პოლონეთი	1	1	1	84:83	3
სლოვენია	1	0	2	82:91	2
ჩერნოგორია	0	0	3	77:90	0

II ჯგუფი

გერმანია 35:27 ისლანდია

ესპანეთი 27:28 საფრანგეთი

უნგრეთი 27:27 შვედეთი

საფრანგეთი	3	0	0	86:72	6
გერმანია	2	0	1	85:81	4
უნგრეთი	1	1	1	86:83	3
შვედეთი	1	1	1	75:74	3
ესპანეთი	1	0	2	85:85	2
ისლანდია	0	0	3	67:89	0

რეგულარული ჩემპიონატი

22 იანვარი

კაროლინა 3:6 აილენდერსი

1:1 1:3 1:2

0:1 სელინჯერი (9), 1:1 სტაალი (10), 1:2 პარკი (25), 1:3 სელინჯერი (26), 1:4 ბერგენჰეიმი (28), 2:4 კომოდორი (36), 3:4 კალენი (47), 3:5 უიტი (58), 3:6 კომო (59)

ფილადელფია 3:7 ნიუ ჯერსი

2:3 1:2 0:2

1:0 ბრიაარი (3), 1:1 ოდუია (7), 2:1 კნუბლი (8), 2:2 ლანგენბრუნერი (15), 2:3 ზუბრუსი (18), 2:4 ელიაში (31), 2:5 პარიზე (35), 3:5 კარტერი (40), 3:6 პარიზე (41), 3:7 ელიაში (42)

რეინჯერსი 4:0 ატლანტა

2:0 1:0 1:0

1:0 ევერი (13), 2:0 დუბინსკი (16), 3:0 სტრაკა (29), 4:0 იაგრი (45)

მონრეალი 8:2 ბოსტონი

4:1 2:0 2:1

1:0 კოსტოპულოსი (1), 2:0 რაიდერი (4), 2:1 შტურმი (13), 3:1 კოსტიცინი (17), 4:1 ლაპიერი (20), 5:1 სმოლინსკი (26), 6:1 კომისარეკი (28), 7:1 კოვალიოვი (48), 8:2 ნოკელაინენი (54), 8:2 კოსტიცინი (58)

ფლორიდა 5:3 ოტავა

1:0 2:2 2:1

1:0 ბაუმისტერი (18), 1:1 მაკამონდი (21), 2:1 გლასი (27), 2:2 ნილი (30), 3:2 უაიზი (39), 4:2 ბუტი (42), 5:2 ვერბიუკი (52), 5:3 ფიშერი (59)

დალასი 2:4 კოლუმბუსი

0:0 2:1 0:3

1:0 მოროუ (24), 2:0 ოტი (29), 2:1 ჟერდევი (35), 2:2 ნიურეი (49), 2:3 ჟერდევი (54), 2:4 ნეში (60)

კოლორადო 0:4 ნეშვილი

0:1 0:0 0:3

0:1 ვებერი (5), 0:2 ერატი (41), 0:3 რადულოვი (43), 0:4 ერატი (46)

ტამპა 4:3 ედმონტონი

0:0 3:1 1:2

1:0 რიჩარდსი (21), 2:0 მაკდონალდი (25), 3:0 სენ ლუი (30), 3:1 კოლიანო (31), 4:1 ლეკავალიე (46), 4:2 სტეიოსი (53), 4:3 ჰეშკი (59)

კალგარი 2:1 მინესოტა

0:1 1:0 1:0

0:1 როლსტონი (4), 1:1 იელი (23), 2:1 კონროი (49)

ლოს ანჯელესი 0:3 დეტროიტი

0:1 0:1 0:1

0:1 ჰოლმსტრომი (7), 0:2 სამუელსონი (35), 0:3 ფრენცენი (43)

სან ხოსე 3:2 ჩიკაგო

1:1 2:0 0:1

0:1 სკილი (5), 1:1 ოზოლინში (14), 2:1 პაველსკი (34), 3:1 ერჰოფი (36), 3:2 ბერიში (52)

აღმოსავლეთი

ატლანტიკა						
ნიუ ჯერსი	48	28	17	3	122:111	59
პიტსბურგი	48	27	17	4	140:149	58
ფილადელფია	47	26	16	5	156:135	57
აილენდერსი	49	24	19	6	123:137	54
რეინჯერსი	50	23	21	6	122:128	52
ჩრდილო-აღმოსავლეთი						
ოტავა	49	30	15	4	166:141	64
მონრეალი	48	25	15	8	150:133	58
ბოსტონი	48	24	19	5	125:132	53
ბუფალო	47	20	21	6	140:138	46
ტორონტო	49	19	22	8	138:160	46
სამხრეთ-აღმოსავლეთი						
კაროლინა	52	24	24	4	158:170	52
ვაშინგტონი	48	22	21	5	143:152	49
ატლანტა	51	23	25	3	140:173	49
ფლორიდა	50	22	24	4	127:143	48
ტამპა	49	20	24	5	141:160	45

NHL NHL NHL NHL NHL NHL NHL NHL NHL NHL

დასავლეთი

ცენტრი						
დეტროიტი	50	36	10	4	172:109	76
ნეშვილი	49	25	20	4	143:134	54
კოლუმბუსი	50	24	20	6	127:126	54
სენტ ლუისი	46	22	18	6	120:129	50
ჩიკაგო	49	23	22	4	139:142	50
ჩრდილო-დასავლეთი						
კალგარი	50	25	17	8	146:143	58
მინესოტა	49	27	19	3	135:136	57
კოლორადო	49	26	19	4	136:135	56
ვანკუვერი	49	25	19	5	128:119	55
ედმონტონი	51	22	24	5	136:155	49
წყნარი ოკეანე						
დალასი	52	28	19	5	153:136	61
ანაჰაიმი	51	27	18	6	133:132	60
სან ხოსე	48	26	15	7	125:118	59
ფინიქსი	48	25	21	2	131:131	52
ლოს ანჯელესი	50	19	29	2	140:168	40

ვენსან ლეკავალიე ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირია

ბომბარდირები: ვენსან ლეკავალიე (ტამპა) 66 (30+36); ჯერომ იგინლა (კალგარი) 63 (32+31); სიდნი კროსბი (პიტსბურგი) 63 (20+43); ილია კოვალჩუკი (ატლანტა) 63 (37+26); ალექსანდრ ოვეჩკინი (ვაშინგტონი) 62 (38+24); ჰენრიკ ზეტერბერგი (დეტროიტი) 61 (28+33); დანიელ ალფრედსონი (ოტავა) 60 (29+31); მარტინ სენ ლუი (ტამპა) 58 (19+39); პაველ დაციუკი (დეტროიტი) 57 (17+40); რაიან გეცლაფი (ანაჰაიმი) 57 (19+38); ჯო ტორნტონი (სან ხოსე) 57 (15+42); დენი ჰიტლი (ოტავა) 56 (25+31); ევგენი მალკინი (პიტსბურგი) 56 (26+30); ჯეისონ სპეცა (ოტავა) 55 (16+39); მაიკ რიჩარდსი (ფილადელფია) 55 (21+34)

გოლეადორები: ოვეჩკინი 38; კოვალჩუკი 37; იგინლა 32; ლეკავალიე 30; ალფრედსონი 29; ზეტერბერგი 28; ერიკ სტაალი (კაროლინა), ბრედ ბოისი (სენტ ლუისი) 27-27; მალკინი, რიკ ნეში (კოლუმბუსი), კორი პერი (ანაჰაიმი) 26-26; ჰიტლი, მარიან გაბორიკი (მინესოტა) 25-25

ასისტენტები: მარკ სავარი (ბოსტონი), კროსბი 43-43; ტორნტონი 42; ნიკლას ლიდსტრომი (დეტროიტი), ჰენრიკ სედინი (ვანკუვერი), დაციუკი 40-40; სენ ლუი, სპეცა 39-39; გეცლაფი 38; სკოტ გომესი (რეინჯერსი), ლეკავალიე 36-36; რიჩარდსი, ბრაიან რაფალსკი (დეტროტი) 34-34

ნაჯოფიერების კოეფიციენტი: ლიდსტრომი 39; ჰიტლი 31; დაციუკი 29; გეცლაფი 25; დანიელ კლირი (დეტროტი) 22; ზეტერბერგი 20; ვალტერ ფილპულა (დეტროიტი) 19; სპეცა, ნიკლას კრონვალი (დეტროიტი) 18-18; რაფალსკი, ჰ. სედინი, იგინლა 17-17

მეკარეები

გაფლეგულ გოლთა საშუალო მაჩვენებელი: კრის ოსგუდი (დეტროიტი) 1,87; პასკალ ლეკლერი (კოლუმბუსი) 2,06; რობერტო ლუონგო (ვანკუვერი) 2,11; მარტინ ბროდო (ნიუ ჯერსი) 2,12; დომინიკ ჰაშეკი (დეტროიტი) 2,16; ევგენი ნაბოკოვი (სან ხოსე) 2,19; მენი ლეგასი (სსენტ ლუისი) 2,24; დენ ელისი (ნეშვილი) 2,25

დარტყმათა მოგერიების პროცენტი: ტომ ტომასი (ბოსტონი) 92,7; ლეკლერი 92,6; ოსგუდი 92,5; ლუონგო 92,5; ელისი 92,4; კრისტობალ იუე (მონრეალი) 92,4; ბროდო 92,0; ილია ბრიზგალოვი (ფინიქსი) 91,8; მარტინ ბიერონი (ფილადელფია) 91,7; მარტინ გერბერი (ოტავა) 91,6

მოგებული მატჩები: ნაბოკოვი, ბროდო 26-26; მიკა კიპრუსოფი (კალგარი) 25; გერბერი, ჟანსებასტიან ჟიგერი (ანაჰაიმი), ლუონგო, ჰენრიკ ლუნდკვისტი (რეინჯერსი) 21-21; ტომაშ ვოკოუნი (ფლორიდა), ოსგუდი 20-20; კემ უარდი (კაროლინა), რიკ დიპიეტრო (აილენდერსი), მარტი ტურკო (დალასი) 19-19

შათიუტები: ლეკლერი, ლუნდკვისტი 7-7; ლუონგო 6; ნაბოკოვი 5; ბროდო, ელისი 4-4; უარდი, კრის მეისონი (ნეშვილი), ლეგასი, ვოკოუნი, მეტიუ გერონი (ედმონტონი), ოსგუდი, ჰაშეკი 3-3

ავსტრალიის ღია პირველობა. მელბურნი 14-27 იანვარი. საპრიზო 20 640 000 $

სამი (ს)ერბო ქილა ავსტრალია იჩებმა წალეკეს

კაცები

მეოთხედფინალი

როჯერ ფედერერი (1, შვეიცარია) — **ჯეიმს ბლეიკი** (12, აშშ) 7:5 7:6 6:4; **ნოვაკ ჯოკოვიჩი** (3, სერბეთი) — **დავიდ ფერერი** (ესპანეთი) 6:0 6:3 7:5

ქალები

მეოთხედფინალი

ანა ივანოვიჩი (4, სერბეთი) — **ვინუს უილიამსი** (8, აშშ) 7:6 6:4; **დანიელა ჰანტუხოვა** (9, სლოვაკეთი) — **აგნეშკა რადვანსკა** (29, პოლონეთი) 6:2 6:2

ანა ივანოვიჩი

გუშინ მელბურნ-პარკზე წლის პირველი სლემტურნირის ყველა ნახევარფინალისტის ვინაობა გაირკვა, რაზე დაყრდნობითაც რამდენიმე ზოგადი დასკვნისა და ნაწილობრივ პროგნოზის გაკეთებაც შეიძლება. პირველ რიგში იმით დავიწყოთ, რომ კაცთა ჩოგბურთში უკვე აშკარად გამოიკვეთა სამეული, რომლებიც წლეულს, ალბათ დიდი თუ პატარა ტიტულების უმეტესობას ერთმანეთში გადაინაწილებენ. ბოლო ორი-სამი წელი მთავარი ინტრიგა როჯერ ფედერერისა და რაფაელ ნადალის დაპირისპირება იყო, წლეულს კი ამ წყვილს ნოვაკ ჯოკოვიჩიც დაემატება. ახალგაზრდა სერბის მიერ გასული სეზონის მეორე ნახევარში და ბოლო ორ კვირაში ნაჩვენები თამაში უფლებას გვაძლევს ვამტკიცოთ, რომ ნოვაკი ნებისმიერი ტურნირის უმთავრეს ფავორიტთა შორის იქნება.

საერთოდ, სერბები სულ უფრო თამამად გამოდიან წინა პლანზე — შეიძლება ითქვას, რომ ჩოგბურთში სერბული ექსპანსია დაიწყო. აგერ მელბრუნ-პარკზე გასამართ ნახევარფინალებში ამ ქვეყნის სამი წარმომადგენელი ითამაშებს. ჯოკოვიჩმა, ელენა იანკოვიჩმა და ანა ივანოვიჩმა იგივე გასულ ზაფხულს „როლან გაროსზეც" გააკეთეს, მაგრამ მაშინ ეს ბევრმა შემთხვევითობად ჩათვალა. თუმც მწვანე კონტინენტზეც მსგავსი განმეოდა და სამივეს უწყვეტ პროგრესს თუ გავითვალისწინებთ, ასეთი რამ კიდევ არაერთხელ უნდა ვიხილოთ.

ჩვენ კი გუშინდელ მეოთხედფინალებს მივუბრუნდეთ და კაცთა მატჩებით დავიწყოთ, სადაც ფედერერმაც და ჯოკოვიჩმაც სამი სეტი იმყოფინეს, შესაბამისად ჯეიმს ბლეიკისა და დავიდ ფერერის წასაქცევად. თუმც იმის თქმა გაგვიჭირდება, ორივემ ერთნაირად იოლად იმარჯვაო — სერბმა გაცილებით დამაჯერებლად მოუთავა საქმე ფერერს. ნოვაკი თავიდანვე სრულიად აკონტროლებდა მატჩის მიმდინარეობას, პირველ ორ სეტში კი საერთოდ იმას აკეთებდა, რაც სურდა.

ფერერის მდგომარეობას კი შეიძლება, კომა დაერქვას. ყოველთვის ბოლომდე მებრძოლი ესპანელი კორტზე მთვარეულივით დალასლასებდა და არაფრით ჰგავდა იმ მეჩოგნეს, გასული სეზონის ერთ-ერთ უმთავრეს აღმოჩენად რომ დაასახელეს. დავიდმა მხოლოდ მესამე სეტში გაიფაფხურა და ისიც მაშინ, როცა მეტოქეს მატჩ-პოინტები ჰქონდა — 3:5-დან ანგარიში გააყაიმა. თუმც ამაში „წვლილი" ჯოკოვიჩსაც მიუძღვის, რომელიც რატომღაც ანერვიულდა და მატჩი კინაღამ გააჯანჯლა. სერბმა რაღაც მომენტში თავზე კონტროლიც დაკარგა და მაყურებლებსაც ეჩხუბა, როცა ვაწვდი, ყვირილს ნუ იწყებთ, ხელი მეშლებაო. მოკლედ, ბალკანელმა ასე მიიყვანა მატჩი გამარჯვებამდე და შემდეგ მაყურებელს ბოდიშიც მოუხადა.

„ის, რაც გავაკეთე, ნამდვილად დაუშვებელია. ასე მოქცევის უფლება არ მქონდა, მაგრამ იმედია, მაინც შემინდობთ, რადგანაც იმ მომენტში ძალიან ვნერვიულობდი. ემოციების გაკონტროლება ყოველთვის ადვილი არ არის" — განაცხადა ჯოკოვიჩმა, რომელიც პირველი სერბი მეჩოგნეა, ოთხივე სლემტურნირის ნახევარფინალში გასვლა რომ შეძლო.

ცოტა გაუჭირდა ფედერერს, რომელმაც მართალია, ასევე სამ სეტში იხეირა, მაგრამ ბლეიკის გასატეხად თავისი მთელი ბრწყინვავლების გამოყენება დასჭირდა. ამერიკელმა მშვენივრად ითამაშა და მსოფლიოს პირველ ჩოგანს ბლომად თავსატეხიც გაუჩინა, მაგრამ ეტყობა, ამ ბიჭს „მხიარულ როჯერთან" მოგება უბრალოდ, არ უწერია — შვეიცარიელთან აგერ უკვე მერვე დაპირისპირება წააგო. არადა, გუშინ ნაჩვენები თამაშით ბლეიკი თითქმის ნებისმიერ გააკრავდა ბეჭებზე, მაგრამ...

ასეა თუ ისე, ფედერერმა ნახევარფინალს მეტ-ნაკლებად დასვენებულმა უწია, რაც იმას ნიშნავს, რომ მისი და ჯოკოვიჩის ჯახი დიდ სანახაობად უნდა გადაიქცეს. ბევრი ამას ნაადრევ ფინალსაც ეძახის — ნადალისადმი დიდი პატივისცემის მიუხედავად (ჟო-ვილფრედ ცონგაზე აღარაფერს ვამბობთ), ფედერერიცა და ჯოკოვიჩიც ესპანელზე გაცილებით უკეთ თამაშობენ ჰარდზე და ფინალში ნებისმიერ შემთხვევაში ორივე უეჭველი ფავორიტის სტატუსით ითამაშებს.

ქალებში კი ის მოხდა, რომ უმცროსი დისა არ იყოს, ვინუს უილიამსიც სერბმა მეჩოგნემ გაამწარა. ერთი დღით ადრე ელენა იანკოვიჩმა სერენა დაითხოვა მელბურნიდან, გუშინ კი ანა ივანოვიჩმა სახლის ბილეთი უფროს შავდასაც გამოუწერა.

ვინუსმა იმავე მიზეზით წააგო, რამაც სერენა იმსხვერპლა — საქმე იმაშია, რომ უილიამსებმა აშკარად დაკარგეს სისწრაფე, მხოლოდ ძალისმიერი ჩოგბურთით კი ველარ გადიან ფონს, მით უმეტეს, ივანოვიჩის დარ მრავალფეროვან, სწრაფი რეაქციის მქონე მეჩოგნესთან, რომელსაც არც ტემპის ცვლა ეშლება და არც შემტევ ჩოგბურთს ერიდება. საკმაოდ თანაბარ თამაშში ანამ გოროზი ამერიკელი წმინდა საჩოგბურთო კომპონენტებშიც დაჩაგრა და ნებისყოფათა ბრძოლაც მოუგო, რითაც ნახევარფინალში თამაშის უფლება სრულებით დაიმსახურა.

აქ ივანოვიჩს დანიელა ჰანტუხოვა ელის, რომელმაც გუშინ ადვილად დაჩაგრა აგნეშკა რადვანსკა. ორი ბობოლა რუსის — სვეტლანა კუზნეცოვასა და ნადია პეტროვას დამარცხების შემდეგ პოლონელი აშკარად ძალიან მოქანცული იყო, რის გამოც სლოვაკთან შეხვედრაში შეცდომების კორიანტელი დააყენა და ჰანტუხოვას მიზნის მიღწევა ერთიორად გაუადვილა.

კახა ლომაჯვილი

ღამის მატი

50 ათასი ქომაგი დაესწრო სამშაბათს ღამით, ავსტრიულ შლადმინგში გამართულ სლალომს და მაყურებელთა გასახარად, ეს ღამის შეჯიბრი 28 წლის მასპინძელმა მარიო მატმა მოიგო.

ღამის სლალომი განათების შუქზე, ფრიად ეფექტური სანახაობაა და ქომაგებმა ამჯერადაც ძალიან ისიამოვნეს.

მატი, ვინც სლალომში მსოფლიოს მოქმედი ჩემპიონი გახლავთ, პირველი ცდის შემდეგ მეორე იყო და წამის რვა მეასედით ჩამორჩებოდა იტალიელ მანფრედ მოელგს და თავის მხრივ, 0,58 წამს უგებდა ბოლო სლალომების გმირს, 23 წლის ფრანგ ჟან-ბატისტ გრანჟეს.

მეორე დაშვება მთლად ფანტასტიკური გამოდგა. საუკეთესო შედეგები იმ ხალხმა აჩვენა, ვინც პირველი ცდის შემდეგ უიმედოდ აგებდა — ავსტრიელმა ვოლფგანგ ჰოერლმა, ჩეხმა ფილიპ ტრეჟბალმა, ამერიკელმა ტედ ლიჯეტიმ, შვედმა მარკუს ლარსონმა, ფრანგმა სტივ მოსილიემ და იაპონელებმა — კენტარო მინაგავამ და აკირა სასაკიმ, მაგრამ ჯამში, ამათგან ყველაზე მაღლა, ოდენ მეოთხე ადგილზე, ლიჯეტი აღზევდა.

პოდიუმზე კი მატი, გრანჟე და მოელგი შედგნენ. ოღონდაც იტალიელმა პოზიციები დათმო და პირველიდან მესამე ადგილზე დაეშვა. მატმა კი კარიერაში საიუბილეო, მეათე გამარჯვება მოიპოვა და გენერალურ კლასიფიკაციაში მერვე ადგილზე აიწია. თავში კვლავაც მატის თანამემამულე ბენჯამინ რაიხია, ვისაც კვალში ამერიკელი ბოდე მილერი უდგას.

მსოფლიოს თასი. შლადმინგი. ავსტრია. 22 იანვარი

კაცები. სლალომი

1. მარიო მატი (ავსტრია)	1 წთ 42,84 წმ (50,29+52,55)
2. ჟან-ბატისტ გრანჟე (საფრანგეთი)	1.43,48 (50,87+52,61)
3. მანფრედ მოელგი (იტალია)	1.43,49 (50,21+53,28)
4. ტედ ლიჯეტი (აშშ)	1.43,54 (51,64+51,90)
5. ფელიქს ნოიროიტერი (გერმანია)	1.44,00 (50,91+53,09)

საერთო ჩათვლა

1. ბენჯამინ რაიხი (ავსტრია)	892 ქულა
2. ბოდე მილერი (აშშ)	831
3. დიდიე კუშე (შვეიცარია)	794
4. ჟან-ბატისტ გრანჟე (საფრანგეთი)	636
5. დანიელ ალბრეხტი (შვეიცარია)	572

მსოფლიოს თასი. კენმორი. კანადა. 22-26 იანვარი

კაცები

30 კმ დუატლონი გამოდევნებით

1. ნიკოლაი პანკრატოვი (რუსეთი)	1 სთ 16 წთ 33,8 წმ
2. ჯორჯო დი ჩენტა (იტალია)	+0,4 წმ
3. აქსელ ტაიხმანი (გერმანია)	+0,6
4. ტობიას ანგერერი (გერმანია)	+0,6
5. პიეტრო პილერ კოტრერი (იტალია)	+1,0

საერთო ჩათვლა

1. ლუკაშ ბაუერი (ჩეხეთი)	816 ქულა
2. რენე ზომერფელდი (გერმანია)	527
3. ტორ არნე ჰეტლანდი (ნორვეგია)	515
4. აქსელ ტაიხმანი (გერმანია)	481
5. ჯორჯო დი ჩენტა (იტალია)	422

ქალები

15 კმ დუატლონი გამოდევნებით

1. ჟუსტინა კოვალჩიკი (პოლონეთი)	42 წთ 30,3 წმ
2. ევგენია მედვედევა (რუსეთი)	+15,9 წმ
3. ოლგა როჩევა (რუსეთი)	+22,9
4. ვალენტინა შევჩენკო (უკრაინა)	+24,6
5. ლარისა კურკინა (რუსეთი)	+26,6

საერთო ჩათვლა

1. შარლოტა კალა (შვედეთი)	795 ქულა
2. ვირპი კუიტუნენი (ფინეთი)	705
3. არიანა ფოლიი (იტალია)	641
4. ასტრიდ იაკობსენი (ნორვეგია)	522
5. ჟუსტინა კოვალჩიკი (პოლონეთი)	518

ახალი მამლები ექვს ერზე

2 თებერვლიდან ბებერ კონტინენტზე დიდი სანაკრებო ჯახები დაიწყება. ლაპარაკია ექვსი ერის პირველობაზე. მონაწილე გუნდებმა შემადგენლობები უკვე დაასახელეს, მაგრამ მათ შორის ყველაზე გადახალისებული ნაკრები საფრანგეთს ჰყავს. „მამლების“ ახალმა მწვრთნელმა მარკ ლევერმონმა თანამდებობაზე მისვლისთანავე დაიქადნა, უფრო მომავლისკენ გავიხედავ, ანუ ძველ მორაგბეებს გავუშვებ და ახალგაზრდებს საერთაშორისო თამაშებს მივაჩვევო. დაიქადნა და აასრულა: მან სანაკრებო განაცხადს გარეთ დატოვა ისეთი მოთამაშეები, როგორებიც არიან სებასტიან შაბალი, ჟერომ ტიონი, კლემენ პუატრენო, პიერ მინიონი და დევიდ მარტი. ამ ყველაფერს ისიც დაერთო, რომ გამობრძმედილ მობურთალთა კვარტეტმა — რაფაელ იბანესმა, სერჟ ბეცენმა, ფაბიენ პელუმ და კრისტოფერ დომინისიმ — სანაკრებო კარიერის დასრულების შესახებ ამცნო საზოგადოებას.

გამოჩნდნენ ახალი სახეებიც. ახალბედებმა უფრო მორკინალთა რიგები შეავსეს. ჟულიენ ბრუნო (დაქსი), ლიონელ ფორი (სეილ შარკსი), არნო მელა (ალბი) და კლერმონელი ლოიკ ლაკუე პირველად მოირგებენ ლურჯ მაისურს.

საფრანგეთის ნაკრები ექვს ერზე ასეთი შემადგენლობით წარდება:

უკანა ხაზი: ჟან-ბატისტ ელისალდე, მორგან პარა, ფრანკოს ტინ-დიუ, დევიდ სკრელა, ფლორიან ფრიცი, დემიენ ტრაი, ვინსან კლერკი, ჟულიან მალზიე, სედრიკ ეიმანი, ორელინ რუჟრი.

შერკინება: ჟულიან ბრუნო, ლაიონელ ფორი, ჟან-ბატის პუქსი, უილიამ სერვა, დიმიტრი შარჟევსკი, ლოიკ ლაკუე, ლაიონელ ნალი (კაპ), არნო მელა, ჟულიან ბონერი, ტიერი დუზატუარი, ფულგენს უდრაოგო, ელვის ვერმიულენი.

ზურაბ მიგრიაული

დენის ჯონის გვერდით უჯობს

უელსის ნაკრების მწვრთნელმა უორენ გალანტმა განაცხადა, ინგლისის ნაკრების ახალწვეულ დენი კიპრინანის კარიერა ჯონი უილკინსონისაზე წარმატებული იქნება და მეტ სიმაღლეებს მიაღწევსო. ჟურნალისტები უმალ დაფაცურდნენ და ყოველივე ამის შესახებ თავად კიპრიანის დაეკითხნენ...

— უორენის დარმა ადამიანებმა შეიძლება გამოთქვან აზრი, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ მე იმავეს ვგრძნობდე. უილკინსონი გენიალური მორაგბეა. მან მარტომ შეცვალა სარაგბო სამყარო. ბედნიერი ვარ, რომ ჯონის გვერდით მიწევს თამაში. მისგან ბევრს ვსწავლობ. უილკინსონის შემადგენლობიდან ამოგდება თითქმის წარმოუდგენელია და თუ საერთოდ შესაძლებელია, მაშინ ეს ტიტანური შრომის ფასად თუ მოხერხდება.

მე ექვს ერზე არ მივდივარ სათადარიგო მოთამაშედ. ყველა ასპექტში მოვუმატებ და არავის მივცემ საშუალებას, რომ ჩემში, როგორც მორაგბეში, ეჭვი შეიტანოს — თქვა დენი კიპრიანიმ.

ზურაბ მიგრიაული



დენი კიპრიანი

Formula 1

რუბრიკას წარმოგიდგენთ Mobil 1

№ 1 საავტომობილო ზეთი



ვალენსიაში ყველაზე სწრაფი ფერარია

ესპანურ ვალენსიაში მორიგი წინასასეზონო ტესტები გახურდა და პირველ დღეს ყველაზე სწრაფები „ფერარის“ პილოტები ფელიპე მასა და მსოფლიოს ჩემპიონი კიმი რაიკონენი იყვნენ.

დილის სესიისას მასას „ფერარი“ ერთ-ერთი ვირაჟის გავლისას ტრასაზე დატრიალდა, თუმცა ბრაზილიელმა ამ შეფერხებას ყურადღება არ მიაქცია და საუკეთესო წრეზე წუთი და 12,182 წამი აჩვენა. რაიკონენი თანაგუნდელს ნახევარ წამზე მეტით ჩამორჩა (1.12,721), ხოლო მესამე შედეგი ახალი, FW30 „უილიამსით“ ნიკო როსბერგმა აჩვენა (1.12,838).

ერთ წუთსა და 13 წამში, სწორედ ეს სამი პილოტი ჩაეტია. მეოთხე-მეხუთე შედეგები „მაკლარენელებს“, გუნდის ახალწვეულ ჰეიკი კოვალაინენსა და ტესტ-პილოტ პედრო დე ლა როსას ჰქონდათ. მხოლოდ მეექვსე იყო „მაკლარენიდან“ „რენოში“ დაბრუნებული მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი ფერნანდო ალონსო, რომელმაც მცირედით აჯობა „უილიამსის“ მეორე პილოტს, იაპონელ კაძუკი ნაკაჯიმას.

ვალენსიურ ტესტებში წლევანდელი ჩემპიონატის მონაწილე გუნდებიდან მხოლოდ „ფორს-ინდიას“ პილოტები არ გამოდიან. არ ჩანს მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი, ინგლისელი ლუი ჰემილტონიც — ვალენსიაში მისი ადგილი „მაკლარენის“ ტესტ-პილოტმა, ესპანელმა პედრო დე ლა როსამ დაიკავა.

ერთი საინტერესო დეტალიც — ვალენსიაში „ჰონდას“ საჭეს ალექსანდრ ვიურცი მიუჯდა, ვინც შარშანდელი სეზონის ბოლოს კარიერის დასრულების შესახებ გაკეთა განცხადება. ავსტრიელმა ბოლო, მე-16 შედეგი აჩვენა და დღის ბოლოს ბრძანა, რომ კარიერა კი დაასრულა, მაგრამ უყვარს ტესტები, მანქანასთან მუშაობა და თავის გამოცდილებას „ჰონდას“ დაუნანებლად მოახმარს.

აქვე გეტყვით, რომ ვიურცი ლე მანის ლეგენდარული, 24-საათიანი რბოლის 1996 წლის გამარჯვებულია და არ არის გამორიცხული, ისევ ვიხილოთ ფრანგულ გზებზე. ყოველ შემთხვევაში, ვეტერან მრბოლს ამის სურვილი ნამდვილად აქვს და შესაფერის წინადადებას ელის.

კახა ლომაძე

ჰემილტონს ჰოტორნისა

შარშანდელი საპირველფორმულო სეზონის სენსაცია, მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი, „მაკლარენის“ ინგლისელი მრბოლი ლუის ჰემილტონი ჰოტორნის თასით დაავიდოვეს. თასი ყოველწლიურად გადაეცემა რაგინდარა კლასში სეზონის საუკეთესო ბრიტანელ ავტომრბოლს.

ეს ჯილდო 1958 წელს დაწესდა ფორმულა 1-ის პირველი ბრიტანელი ჩემპიონის, შემდგომში ტრაგიკულად დაღუპული მაიკ ჰოტორნის ოჯახის მიერ.

მართალია, შარშანდელი ჩემპიონატის მიწურულს, თითქმის მთელი სეზონის მანძილზე პირველ ადგილზე მყოფმა ჰემილტონმა, რაღაც საოცარი უიღბლობის გამო, ტიტული ვერ მოიპოვა, მაგრამ სადებიუტო ჩემპიონატში ნაჩვენები ბრწყინვალე შედეგის წყალობით, მას არაერთი პრიზი ერგო და ჰოტორნის თასი მის კოლექციას ნამდვილად დაამშვენებს.

კახა ლომაძე

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი გიორგი დარჯანია
მთავარი რედაქტორის მოადგილე კახა შალამბერიძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: კობა ინასარიძე, ნუგზარ ლოლაძე, ილია ნანობაშვილი, მიხეილ ჟორჟოლიანი
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ვიაჩესლავ გასპაროვი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიორგი ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ვლადიმერ ხოფერია
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: თამაზ მიგრიაული, ირაკლი პერტაია, გრიგოლ სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლიანა ბესელია, ხათუნა ბუხუნაშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. **ტელეფონი:** 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00